პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 220 (5021) | კვირა, 26 სექტემბერი 1937 წ. | ფასი 10 კაპ.

24 სექტემბერს დაიწყო აჭარის ფაშისტურ-კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მონაწილეთა გასამართლება.

პირველად დაკითხულ იქნა ბრალდებული ზ. ლორთქიფანიძე, რომელმაც აჩვენა, რომ მათი მიზანი იყო ძალაუფლების დაპყრობა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა დახმარებით და ბურჟუაზიულ-მემამულური ურთიერთობის აღდგენა.

დაუნდობლად გავსრისოთ ხალხის უბოროტესი მტრები, პირსისხლიანი ფაშიზმის ქოფაკები — ასეთია მთელი საქართველოს მშრომელთა ერთსულოვანი მოთხოვნა!

გავსრისოთ ქვეწარმავალნი

24 სექტემბერს დაიწყო აჭარის კონტრრევოლუციური სააჯანყებო, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის სასამართლო პროცესი. ჩვენ დღეს ვაქვეყნებთ საბრალდებო დასკვნას ხალხის მტრების — ზ. ე. ლორთქიფანიძის, გ. ე. რამიშვილის, ჯ. ე. ქიქავას, გ. ე. ლაღიძის, ი. ი. მეგრელიძის და სხვათა ბრალდების გამო სააჯანყებო ჯაშუშურ-ტერორისტულ, დივერსიულ - მავნებლურ მუშაობაში. ჩვენი ქვეყნის მშრომელნი უდიდესი აღშფოთებითა და გულისწყრომით ხვდებიან ცნობას სოციალისტური სამშობლოს მოღალატეთა, ჯაშუშ-დივერსანტთა ამ ბანდის ვერაგული ბოროტმოქმედებების შესახებ. მუშათა კლასის დიქტატურის ფხიზელი თვალის — შინსახკომის სახელოვანმა ორგანოებმა აღმოაჩინეს მოღალატეთა ეს ხროვა, დანაშაულზე წაასწრეს მათ, ალაგმეს მათი ჯაშუშურ-მავნებლური მუშაობა.

ხალხის მტრებმა — არამზადა ზ. ლორთქიფანიძემ და გ. რამიშვილმა კონტრრევოლუციური ორგანიზაცია შექმნეს უცხოეთის ერთერთი სახელმწიფოს დაზვერვის დავალებით. ბრალდებული ზ. ე. ლორთქიფანიძე, აჭარის ცაკის ყოფ. თავმჯდომარე, ჯერ კიდევ ორგანიზაციის ჩამოყალიბებამდე იყო ამ უცხო სახელმწიფოს დაზვერვის მოსყიდული ჯაშუში. აჭარის კონტრრევოლუციური სააჯანყებო, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაცია მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, აჭარის ჩამოშორებას დიდი საბჭოთა კავშირისაგან და კაპიტალისტური წყობილების აღდგენას. ეს ბანდა ამზადებდა საბჭოთა კავშირზე ფაშისტური, კაპიტალისტური ქვეყნების თავდასხმის მომენტისათვის აჯანყებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ჰქმნიდა ტერორისტულ ჯგუფებს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მოსახდენად.

საბრალდებო დასკვნა სამშობლოს მოღალატეთა, ბილწ ჯაშუშ-დივერსანტთა ტერორისტული, სააჯანყებო და მავნებლური მუშაობის შემზარავ სურათს გვიხატავს. შემაძრწუნებელია მათი მუხანათური ბოროტმოქმედება. ეს საზიზღარი, სამგზის წყეული ქვეწარმავალნი, ფაშიზმის ქოფაკი ძაღლები ლამობდნენ აჭარის ბედნიერი ხალხისათვის თავს მოეხვიათ სისხლისმსმელი ძალაუფლება იმპერიალისტ ინტერვენტებისა, ბეგებისა და კულაკებისა.

სამშობლოს გამყიდველთა, ჯაშუშ ყაჩაღთა ეს ორგანიზაცია გარშემო იკრებდა ყველა ანტისაბჭოთა ელემენტებს, ბეგებს, კულაკებს, სისხლის სამართლის დამნაშავეებს, ბანდიტურ ელემენტებს, კონტრაბანდისტებს და სხვ. ისინი დაუკავშირდნენ აჭარის მშრომელი ხალხის მიერ გაძევებულ, ემიგრაციაში მყოფ რეაქციონერ ბეგებს, ხოჯებსა და მოლებს. აჭარის კონტრრევოლუციური ორგანიზაცია იმყოფებოდა ბლოკში ხალხის უბოროტეს მტრებთან — ტროცკისტებთან, მემარჯვენეებთან, მენშევიკებთან, ფაშისტებთან. ისინი გაერთიანებული ძალღონით ეწეოდნენ ჯაშუშობას უცხოეთის კაპიტალისტური სახელმწიფოს სასარგებლოდ, ამზადებდნენ ტერორისტულ აქტებს, ჰქმნიდნენ მეამბოხეთა ჯგუფებს, გამუდმებით ეწეოდნენ დივერსიას და მავნებლობას მრეწველობაში, ვაჭრობასა და სოფლის მეურნეობაში.

კონტრრევოლუციურ ორგანიზაციის მეთაურ ზ. ე. ლორთქიფანიძისა და საქართველოს მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ცენტრის წევრის შ. მათიკაშვილის პირდაპირი დავალებით ამ არამზადებმა განავითარეს მავნებლობა ციტრუსოვანი კულტურების, ჩაისა და თამბაქოს დარგში. ამ კულტურების ნარგავებისა და პლანტაციების განადგურების, სოფლის მეურნეობის შემოსავლიანობის შემცირების, სას.-სამ. არტელის სტალინური წესდების ბოროტად დამახინჯების, მშრომელი გლეხობის აბუჩად აგდების გზით ისინი ცდილობდნენ შეეფერხებინათ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შემდგომი განვითარება და დაენგრიათ საკოლმეურნეო წყობილება.

აჭარის კონტრრევოლუციური ჯაშუშურ - მავნებლური ორგანიზაცია ეწეოდა ანტისაბჭოთა და ანტისაკოლმეურნეო აგიტაციას სოფლად, ავრცელებდა ყოველგვარ პროვოკაციულ ხმებს ომისა და ინტერვენციის მოახლოვების შესახებ, განზრახ ამახინჯებდა საბჭოთა კანონებს, რათა გამოეწვია გლეხობაში უკმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. ამ ორგანიზაციის წევრები მოტყუების, პირმოთნეობის, შენიღბვის გზით ახერხებდნენ არა მარტო პარტიის რიგებში დარჩენას, არამედ საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების პასუხსაგებ პოსტებზე გაძრომასაც.

რა მიზნებს ისახავდა აჭარის კონტრრევოლუციური ორგანიზაცია? რა ბნელი ზრახვები ჰქონდა მას?

ბრალდებულმა ზ. ე. ლორთქიფანიძემ დაკითხვაზე უტიფრად განაცხადა: „ჩვენი ძირითადი მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა აჭარაში და ბურჟუაზიული წესწყობილების დამყარება... ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნდა დაგვეწესებინა თავისუფალი ვაჭრობა და დაგვებრუნებინა ბეგებისა და აღალარებისათვის ის მიწები, რომლებიც მათ ჩამოართვა საბჭოთა ხელისუფლებამ და გადასცა აჭარის ღარიბ გლეხობას...

ჩვენი მიზანი იყო აჭარა რომელიმე კაპიტალისტური სახელმწიფოს პროტექტორატის ქვეშ მოგვექცია, ე. ი. გაგვეხადნა იგი ფაქტიურად კაპიტალისტური სახელმწიფოს კოლონიად, ხოლო აჭარის მშრომელი მოსახლეობა ბეგებისა და უცხო კაპიტალის მონებად“.

ფაშიზმის მოსყიდულ აგენტებს, ხალხის დაუძინებელ მტრებს, უცხოეთის დაზვერვის ქოფაკებს, აჭარის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრებს უნდოდათ სისხლის მორევში ჩაეხრჩოთ აჭარის მუშები, გლეხები, ინტელიგენცია, ფეხქვეშ გაეთელნათ მათი თავისუფლება და დიადი სოციალისტური მონაპოვარი, რომელიც ოქროს ასოებით ჩაწერილია სტალინურ კონსტიტუციაში. მათ უნდოდათ ლატაკი და მშიერი გაეხადნათ აჭარელი ხალხი. მათ უნდოდათ გადაექციათ იგი იმპერიალისტ დამპყრობელთა და თავიანთი ბეგების, მოლებისა და კულაკების მონად. ისინი ცდილობდნენ გაენადგურებინათ საკოლმეურნეო წყობილება, რომელშიც აჭარის ათიათასობით გლეხებმა ჰპოვეს ხსნა კულაკებისა და ბეგების მხრით საუკუნოებრივი ექსპლოატაციისაგან, ჰპოვეს გზა შეძლებული და კულტურული ცხოვრებისა. აჭარელმა ხალხმა, მთელ საბჭოთა საქართველოს ხალხებთან ერთად, დიდი საბჭოთა კავშირის მთლიან ოჯახში ლენინ-სტალინის პარტიის მეთაურობით, უდიდესი მიღწევები მოიპოვა სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე.

აჭარის მშრომელი ხალხი, ისე როგორც არასოდეს, შეკავშირებულია ლენინ-სტალინის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ირგვლივ. უსაზღვროა აჭარის მშრომელთა სიყვარული ხალხთა ბელადის დიდი სტალინისადმი. ხალხის მტრების, ჯაშუშ - ყაჩაღმავნებლების ბანდა გარიყული იყო აჭარის მშრომელი ხალხისაგან. ისინი გაბოროტებული სიძულვილით იყვნენ აღვსილნი მშრომელი ხალხის მიმართ. ქურდულად და თვალთმაქცურად ეწეოდნენ თავის შავ მოღალატურ საქმიანობას, აჭარის მშრომელთა და მთელი საბჭოთა ხალხის უდიდესი რისხვა თავს დაატყდა სამშობლოს ამ საზიზღარ მოღალატეებს.

ამაზრზენი, ბილწია სამგზის საზიზღარი ჯაშუშების, საბჭოთა ხალხის მტრების ამ ბანდის დანაშაულობანი. მუშათა და გლეხთა ინტერესების გაყიდვისა, დივერსიისა, ჯაშუშობისა და მავნებლობისათვის, უმაგალითო ვერაგობისა და სისაძაგლისათვის მათ სიკვდილი უნდა მიეზღოს.

საბჭოთა სასამართლო მოწოდებულია აღგავოს სოციალიზმის ქვეყნის მიწის პირისაგან ხალხის მოღალატე ქვეწარმავალნი.

აჭარის კონტრრევოლუციურ სააჯანყებო, ჯაშუშურ-ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის მონაწილეთა გასამართლება

(ბათუმი, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

24 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, ბათუმში, წითელი არმიის და ფლოტის სახლში აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოს სპეციალური საკრებულოს ღია სხდომაზე დაიწყო აჭარის ასსრ შინსახკომის მიერ აღმოჩენილ და ლიკვიდირებულ კონტრრევოლუციურ - საჯანყებო, ჯაშუშურ - ტერორისტული, დივერსიულ - მავნებლური ორგანიზაციის მონაწილეთა პროცესი. საბჭოთა მართლმსაჯულების წინაშე დგას 11 საზიზღარი მოღალატე: ზექერია ლორთქიფანიძე, ჯემალ ქიქავა, გიორგი რამიშვილი, გრიგოლ ლაღიძე, ილიას მეგრელიძე, ქიაზიმ ბასილაძე, ჰასან ძნელაძე, ჰასან ჩალოღლი, ოსმან რომანაძე, ოსმან ვანაძე სულეიმან ბეჟანიძე.

ამ საზიზღარ ქვეწარმავალთა, ჯაშუშ-დივერსანტთა, სამშობლოს მოღალატეთა საქმეს არჩევს აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოს სპეციალური საკრებულო შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე — ამხ. რეჯებ ჯინჭარაძე, საკრებულოს წევრები — ამხ. იუსუფ კორძაია და ვლადიმერ ჩიტია.

სახელმწიფო ბრალმდებელია აჭარის ასსრ პროკურორი ამხ. ი. კაპანაძე, საზოგადოებრივ ბრალმდებლებად გამოდიან ამხ. ჰასან დუმბაძე და თოფუზ ცეცხლაძე.

ბრალდებულთ იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები — ამხ. კაშია (ლაღიძეს და ჩალოღლის), ამხ. მამალაძე (რომანაძეს), ამხ. ტურძილაძე (ძნელაძეს და ბეჟანიძეს), ამხ. ზუბაშვილი (ვანაძეს).

სასამართლოს წინაშე წარმდგარმა დანარჩენმა მოღალატეებმა — ზ. ლორთქიფანიძემ, ჯ. ქიქავამ, ი. მეგრელიძემ, ქ. ბასილაძემ და გ. რამიშვილმა უარი განაცხადეს დაცვაზე.

საღამოს სხდომაზე დაიწყო ბრალდებულთა დაკითხვა. პირველად დაკითხულ იქნა ბრალდებული ზ. ლორთქიფანიძე (იხ. მე-4 გვერდი).

სიკვდილი სამშობლოს გამყიდველებს, ფაშიზმის ცოფიან ქოფაკებს!

გავანადგუროთ ხალხის უბოროტესი მტრები

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელი ქარხნის მუშათა, ინჟინერტექნიკოსთა და მოსამსახურეთა შორის ხალხის მტრებისადმი ღრმა აღშფოთებისა და უდიდესი ზიზღის გრძნობა გამოიწვია ცნობამ სამშობლოს მოღალატეების, ჯაშუშ-ტერორისტებისა და დივერსანტების: ზ. ე. ლორთქიფანიძის, გ. ე. რამიშვილის, ჯ. ი. ქიქავას, გ. ე. ლაღიძის და სხვათა უსაზიზღრესი საქმიანობის შესახებ აჭარაში.

გუშინ, პირველი ცვლის მუშაობის დამთავრების შემდეგ ქარხნის ყველა საამქროში გამართულ სახელდახელო მიტინგებზე სიტყვით გამოსული სტახანოველები: სამთელაძე, ზანგურაშვილი, პეტროვი, კაშია, სადაგაშვილი, ონიაშვილი და სხვ. ერთხმად მოითხოვდნენ აჭარის კონტრრევოლუციურ - მავნებლური ორგანიზაციის, ყველა მონაწილის დახვრეტას.

—სიკვდილი მშრომელი ხალხის მტრებს! პროლეტარიატის დიქტატურის რკინის ქუსლით გავსრისოთ სამშობლოს მოღალატეები, ჯაშუშები, დივერსანტები, ტერორისტები, მავნებლები!—ასეთია ქარხნის მთელი კოლექტივის ერთსულოვანი მოთხოვნა.

„ჩვენ მოვითხოვთ,—ნათქვამია მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში, —გამომჟღავნებული ფაშისტურ - კონტრრევოლუციური ბანდის ყველა მონაწილის დახვრეტას. **კიდევ უფრო განვამტკიცებთ საბჭოთა კავშირის მრავალეროვან ხალხთა სტალინურ მეგობრობას, უფრო მეტად შევმჭიდროვდებით ლენინ-სტალინის პარტიის, ჩვენი საყვარელი მასწავლებლისა და მამის დიდი სტალინის გარშემო და საუკეთესო მებრძოლი სტალინელის ამხანაგ ლავრენტი ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით გავანადგურებთ ხალხის ყველა მტრებს, უზრუნველვყოფთ საწარმოო აღმავლობის განუხრელ ზრდას და კიდევ უფრო განვამტკიცებთ ჩვენი სამშობლოს ძლიერებას“.**

შევმუსროთ გველის წიწილები

25 სექტემბერს „26 კომუნარის“ სახელობის მანქანათმშენებლობის ქარხნის ყველა ცეხში ჩატარდა მიტინგი აჭარის კონტრრევოლუციონერების ხალხის უბოროტესი მტრების ზ. ლორთქიფანიძის, ქიქავას, რამიშვილისა და სხვათა პროცესთან დაკავშირებით.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ სტახანოველები: არიმიანი, (ჩამომსხმელი საამქრო) ბოსტონჯევი (სახარატო საამქრო), ზურაბიშვილი, ვასილიევი და სხვები. სიტყვით გამოსული ამხანაგები გამოსთქვამენ უდიდეს გულისწყრომას ხალხის საზიზღარი მტრების, დივერსანტ-ჯაშუშების მიმართ. ჩვენ უფრო მეტად გავამახვილებთ კლასობრივ სიფხიზლეს და შევმჭიდროვდებით კომუნისტური პარტიის და ჩვენი საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის ირგვლივ, ასე განაცხადა სტახანოველმა ზურაბიშვილმა.

მიტინგი ერთხმად მოითხოვს უპრინციპო ბანდის, ტროცკისტ-დივერსანტების: ზ. ლორთქიფანიძის, ქიქავას, რამიშვილისა და სხვათა დახვრეტას.

შეუბრალებლად გავანადგუროთ ფაშიზმის მოსყიდული ხროვა

24 სექტემბერს გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგები ქ. ქობულეთში, ჩაქვში, ოჩხამურში, ვოროშილოვის, კარლ მარქსის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობებში.

მიტინგებზე აჭარის ხალხის მოღალატეების მიმართ ზიზღით აღსავსე სიტყვებით გამოვიდნენ სტახანოველები, სოციალისტური მინდვრების მოწინავე მუშაკები: ფხაკაძე, აროშიძე, ნანეიშვილი, მანელიშვილი, თამაზაშვილი, ახალაძე, მინდაძე, სირაძე, აბდულაძე და სხვები. ისინი ერთხმად მოითხოვდნენ საზიზღარი ქვემძრომების შეუბრალებლად გასრესას.

საზიზღარ მტერთა საპასუხოდ ქობულეთის რაიონის მშრომელები ერთხმად აცხადებენ, რომ ისინი კიდევ უფრო შემჭიდროვდებიან საკავშირო კომუნისტური პარტიის, ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის გარშემო, გააძლიერებენ პოლიტიკურ სიფხიზლეს, ყველა სოროდან შეუბრალებლად ამოათრევენ იქ მიმალულ გველებს, მათ წიწილებს, ტროცკისტ - ბუხარინელ კონტრრევოლუციონერ არამზადებს და დაუნდობლად გასრესენ მათ.

ცოფიანი ძაღლები უნდა დაიხვრიტონ

გუშინ, მუშაობის დამთავრების შემდეგ, კალინინის სახელობის ქარხნის მუშათა კლუბში 300 კაცზე მეტმა მოიყარა თავი.

მიტინგი სრულ 4 საათზე გაიხსნა.

— სიკვდილი, გასრესა, განადგურება სამშობლოს მოღალატეებს, დივერსანტ-ჯაშუშებს, მშრომელი ხალხის დაუძინებელ მტრებს!—გაისმოდა მუშათა ხმები საბრალდებო დასკვნის წაკითხვისას.

— უსაზიზღრესნი საზიზღარ ქვეწარმავალთა შორის, —ასეთია მათი სახელი — განაცხადა მიტინგზე გამოსულმა სტახანოველმა მუშამ ამხ. ვ. ათაბეკოვმა,— **კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს ისეთი თვალთმაქცობა, მუხანათობა და მოღალატეობა, როგორსაც ტროცკისტ-ბუხარინელი ბანდიტები სჩადიან. მტრები გაცოფებული არიან ჩვენი წარმატებებით. ჩვენი ქვეყნის წინსვლა ლახვრად ხვდება მათ. ისინი უნდა გავსრისოთ როგორც გველის წიწილები, სიკვდილი, სიკვდილი ხალხის მტრებს! ცოფიან ძაღლებს!..**

ახალ-ახალი მიღწევებით ვუპასუხებთ ხალხის მტრების გამცემლურ მოქმედებას, სტახანოვური შრომით განვამტკიცებთ ჩვენი დიადი ქვეყნის ძლიერებას და კიდევ უფრო შევმჭიდროვდებით ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, საყვარელი სტალინის გარშემო — დაამთავრა თავისი სიტყვა სტახანოველმა მუშამ ამხ. მეტრეველმა.

ფაშისტი არამზადები, საბჭოთა სისხლით მოვაჭრენი — ზ. ლორთქიფანიძე, გ. რამიშვილი, ჯ. ქიქავა, გ. ლაღიძე, ი. მეგრელიძე და „ძმანი მათნი“ უნდა დაიხვრიტონ—განაცხადა სტახანოველმა მუშამ ამხ. ზ. კეშელაშვილმა.

კალინინის სახელობის ქარხნის მუშათა მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში მუშები ერთსულოვნად მოითხოვენ პირსისხლიან ფაშისტთა, სამგზის საზიზღარ ტროცკისტ-ბუხარინელ ჯაშუშთა—ზ. ლორთქიფანიძის და მისი ბანდის სიკვდილით დასჯას.

გავსრისოთ ქვეწარმავალნი

გუშინ, 25 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე გაიმართა თბილისის მაუდკამვოლის ფაბრიკის მეორე ცვლის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი, რომელსაც 350 კაცი დაესწრო.

მიტინგზე სიტყვებით გამოსული სტახანოველი ამხანაგები—შ. ხუციშვილი, ს. კვანტალიანი, ნ. ბალანჩივაძე, პ. გოგიაშვილი და სხვ.; გამოსთქვამდნენ რა ზიზღსა და სიძულვილს ხალხის უბოროტესი მტრების, სამშობლოს გამყიდველების მიმართ, მოუწოდებდნენ სასამართლოს არ დაინდოს პირსისხლიანი ფაშისტი ყაჩაღები.

მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: **„ხალხის მტერთა, აჭარის კონტრრევოლუციონერ დივერსანტთა ძირგამომთხრელი მუშაობის საპასუხოდ კიდევ უფრო გავამახვილებთ ბოლშევიკურ კლასობრივ სიფხიზლეს** და ლენინ-სტალინის პარტიის ირგვლივ დარაზმულნი ვიბრძოლებთ 1937 წლის საწარმოო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

გაუმარჯოს საბჭოთა დაზვერვის ფხიზელ მუშაკებს და მის სახელოვან ხელმძღვანელს ამხ. ეჟოვს“.

არავითარი შებრალება ხალხის საზიზღარ მტრებს!

ბათუმი, 25 სექტემბერი (საქდესი). ორი დღეა საწარმოებსა, კოლმეურნეობებსა და დაწესებულებებში იმართება მრავალრიცხოვანი მიტინგები, სადაც საბჭოთა აჭარის მშრომელნი სამარცხვინო ბოძზე აკრავენ ხალხის მტერთა საძაგელ ბანდას, რომელიც მოქმედებდა აჭარაში ჯაშუშის, ხალხის მტრის ზექერია ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით.

მიტინგებზე გამოსულთა სიტყვებში გაისმის დაუცხრომელი სიძულვილი, ზიზღი ბილწ ქვეწარმავალთადმი, რომელნიც ცდილობდნენ კაპიტალიზმის მონობაში მოექციათ აჭარის ხალხი.

— ხალხის მტრები მოსტყუვდნენ, — განაცხადა სტახანოველმა — მესამე საამქროს მწმენდავმა ამხ. აკაკი მელაძემ ბათუმის ნავთსახდელი ქარხნის საერთო საქარხნო მიტინგზე.—დეე იცოდნენ საზიზღარმა მტრებმა, რომ ისინი ვერ შესძლებენ გაგვხადონ ჩვენ კაპიტალისტების, მემამულეების, აღალარების მონებად.

თავისი პარტიისადმი, მისი ბელადის დიდი სტალინისადმი სიყვარულსა და ერთგულებაზე ლაპარაკობდნენ ორდენოსანი ამხ. მამედ ფაღავა, დურგალი ამხ. პ. ლორია, ამხ. ღლონტი და სხვ.

წერილში საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამხ ლ. პ. ბერიასადმი ნავთგამომხდელთა კოლექტივი სიტყვას აძლევს მას, რომ ბათუმის ნავთსახდელი ქარხნის მუშები, ინჟინერ ტექნიკოსი მუშაკები და მოსამსახურეები კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმავენ თავის რიგებს ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, კიდევ უფრო მაღლა ასწევენ რევოლუციურ სიფხიზლეს, ბოლომდე ამხილებენ ხალხის მტრებს, უზრუნველჰყოფენ მავნებლობის შედეგების სწრაფ ლიკვიდაციას.

რეზოლუციაში ბათუმის ნავსადგურის კოლექტივი აცხადებს, რომ იგი მზადაა ხალხის მტრების ბანდის გამოაშკარავების საპასუხოდ ვადამდე შეასრულოს საწარმოო ვალდებულებანი.

„ნავსადგურის მუშათა კოლექტივი, — ნათქვამია რეზოლუციაში,— ემზადება რა დიდი პროლეტარული რევოლუციის 20 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, კისრულობს ვალდებულებას უფრო ფართოდ და ღრმად გააჩაღოს სტალინური საარჩევნო კანონის შესწავლა მუშებსა, მოსამსახურეებსა, დიასახლისებსა — მუშების ცოლებს შორის, არ დაუშვას გემებისა და მექანიზმების გაცდენისა და ავარიის არცერთი შემთხვევა, შეასრულოს ოქტომბრის 20 წლისთავისათვის ტვირთბრუნვის წლიური გეგმა.

მშრომელთა ყველა რეზოლუციასა და გამოსვლაში არის ერთი მოთხოვნა: ცოფიანი ძაღლები — ხალხის საზიზღარი მტრები — უკლებლივ ყველანი უნდა დაიხვრიტონ!

ხალხის მტრები ცდილობდნენ კოლმეურნეობების დაშლას, მაგრამ ისინი ამაშიაც მოსტყუვდნენ. შრომითი ენტუზიაზმის ახალი ტალღით უპასუხებენ მზიანი აჭარის კოლმეურნეები ხალხის მტრების გამცემლობას.

ქობულეთის რაიონის სტურუას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა სტახანოველმა ქალმა ამხ. ხატიჯე კაკაბაძემ განაცხადა:

— აგვისტოში ჩემთვის მოცემული დავალება ჩაის ნედლი ფოთლის კრეფის მხრივ მე შევასრულე 150 პროცენტით, მოვკრიფე 900 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ხალხის მტრების საზიზღარი გამოსვლის საპასუხოდ ჩვენ კიდევ უფრო ენერგიულად ვიმუშავებთ ჩვენს საკოლმეურნეო პლანტაციებში, განვამტკიცებთ სოციალისტური სამშობლოს ძლიერებას. ჩვენი ბრიგადა კისრულობს ვალდებულებას ოქტომბრის დღესასწაულისათვის ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა შეასრულოს 200 პროცენტით. სიკვდილი საკოლმეურნეო წყობილების საზიზღარ მტრებს!

ძაღლებს ძაღლური სიკვდილი

მუშათა კლუბი ხალხით გაიჭედა. რამდენიმე ასეული მუშა ყურადღებით ისმენს ინფორმაციას აჭარის კონტრრევოლუციური საჯანყებო, მავნებლურ-ჯაშუშური ორგანიზაციის წევრთა დამარღვეველი საქმიანობის შესახებ.

— ლორთქიფანიძეს გაჩხრეკისას ბინაზე აღმოუჩინეს ოქრო. ეს მის მიერ გაყიდული საბჭოთა აჭარის საფასურია...

ხალხში უდიდესი მღელვარებაა, დარბაზი ხმაურობს...

ამხ. თოფურია, ოქროპირიძე, მიკირტუმოვი, ხადირაშვილი, ბიბილეიშვილი და სხვ. უდიდესი გულისწყრომითა და აღშფოთებით ლაპარაკობენ ხალხის მტრების დამარღვეველ მუშაობაზე და მოითხოვენ მათ ფიზიკურად მოსპობას.

— მათ არ დაინდეს მუშები, მშრომელები, მათ გაჰყიდეს საბჭოთა აჭარა. ხალხის უბოროტეს მტრებს, სისხლით მოვაჭრეებს ფიზიკური განადგურება! — ასეთია თბილისის ს. კუდრიავცევის სახელობის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშათა ერთსულოვანი მოთხოვნა.

ამ მოთხოვნას შეიცავს მიტინგზე მიღებული რეზოლუცია, რომლის მოკლე შინაარსი ასეთია: სიკვდილი ხალხის მტრებს!

○

გუშინ, ნაშუადღევს, თბილისის მოლოტოვის სახელობის ავეჯის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურენი შეიკრიბნენ მიტინგზე და მოისმინეს ფაბრიკის დირექტორის ამხ. ი. ბუჩუკაშვილის ინფორმაცია აჭარის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრების — კონტრრევოლუციური ჯაშუშურ-მავნებლური მუშაობის შესახებ.

— სამშობლოს მოღალატეებს, ხალხის მტრებს, მუშათა კლასის გამცემლებს სიკვდილი! — განაცხადა სტახანოველმა ცხომელიძემ. მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: აჭარის კონტრრევოლუციური ბანდის მონაწილენი—ზ. ლორთქიფანიძე, გ. რამიშვილი, ქიქავა და სხვები ფიზიკურად უნდა მოისპონ.

გავაცამტვეროთ ფაშიზმის ქოფაკები!

თბილისის სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტის პედაგოგთა, სტუდენტთა და ტექნიკურ თანამშრომელთა მგრინავი მიტინგი, აღშფოთებული საზიზღარ ზ. ლორთქიფანიძის, გ. რამიშვილის, ჯ. ქიქავას, გ. ლაღიძის და სხვების კონტრრევოლუციურ - დივერსიული, ყაჩაღურ - ჯაშუშური მოქმედებით, მოითხოვს ამ გარეწართა მიმართ სასჯელის უმაღლეს ზომას—დახვრეტას.

„სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მთელი კოლექტივი,—ნათქვამია ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში, **—არწმუნებს ლენინ-სტალინის დიად პარტიას, რომ იგი კიდევ უფრო მტკიცედ შემჭიდროვდება მის ირგვლივ, საყვარელი სტალინის ირგვლივ და ხალხის საზიზღარი მტრების ყოველგვარ განზრახვას გამანადგურებელი დარტყმით უპასუხებს“.**

ომი ჩინეთში

იაპონიის ცნობები ჩინეთში საომარ მოქმედებათა შესახებ

ტოკიო, 23 სექტემბერი (საქდესი). დომეი ცუსინის სააგენტო ამტკიცებს, რომ იაპონიის ჯარებმა 23 სექტემბერს დაიკავეს გუჩუანის პუნქტი, ერთ კილომეტრზე ბაოდინის ჩრდილოეთით და ამავე დროს წაიწიეს სამხრეთით მანჩენის მახლობლად (ბოადინის ჩრდილო-დასავლეთით). ჩინეთის ჯარების მთავარმა ძალებმა უკვე დასტოვეს ბაოდინი და ქალაქს იცავენ საარიერგარდო ნაწილები და მოხალისეები.

სამხედრო სამინისტროს კომუნიკეში აღნიშნულია, რომ იაპონიის ჯარებმა ლაიუანის სექტორში (ხებეის პროვინციის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი) 23 სექტემბერს დაიკავეს 2 პუნქტი, რომლებიც იაპონელთა მტკიცებით მნიშვნელოვან პუნქტებს წარმოადგენენ ჩინეთის დიდ კედელთან.

კანტონი დღეს

ლონდონი, 24 სექტემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო გვიხატავს იაპონიის ავიაციის 23 სექტემბრის თავდასხმის შედეგად კანტონის დასახლებული ნაწილის განადგურების საშინელ სურათებს. „უცხოელებმა, რომლებმაც ჩინეთის ქალაქი ინახულეს, სწერს გაზეთი,—ენა ჩაუვარდათ საშინელებისაგან ნახეს რა სისხლისღვრისა და ნგრევის საშინელი სცენები.

არცერთი სახელმწიფო შენობა ან სამხედრო ნაგებობა არ დაზიანებულა, მაგრამ ქალაქის მთელი ნაწილი, მჭიდროდ დასახლებული ღარიბებით, სრულებით განადგურებულია ყუმბარების აფეთქებით. სრულიად მოსპობილია საბავშვო სკოლა „ტუნშანი“. ამ სკოლის ახლოს დაიღუპა 200-ზე მეტი კაცი. გონებადაკარგული ბავშვები ასობით დადიან ქუჩებში და დაეძებენ თავიანთ მშობლებს. ერთმანეთში ირევა ბავშვების ძახილი, ტირილი და მშობლების გოდება მოკლული ბავშვების ცხედრებთან“.

„დეილი ტელეგრაფი“ იუწყება, რომ კანტონში 23 სექტემბერს იაპონიის ავიაციის ბომბარდირებათა შედეგად მოკლულ იქნა თითქმის 3 ათასი კაცი. ყველა ინგლისურ ცნობაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ იაპონელთა ბომბარდირების მსხვერპლია მხოლოდმხოლოდ მშვიდობიანი მოსახლეობა.

ბრძოლები ლოდიანის რაიონში

შანხაი, 23 სექტემბერი (საქდესი). გრძელდება სერიოზული ბრძოლები ლოდიანის რაიონში, სადაც ჩინეთის ჯარებმა წაიწიეს წინ, უკანვე წაართვეს რა იაპონელებს სოფლები ცინცუნი, მანტანი და ტუნსიუტანი, ლოდიანის სამხრეთ-აღმოსავლეთით. განუწყვეტელმა ბომბარდირებამ იაპონელების მხრივ სავსებით დაანგრია სოფელი ლოდიანი. იაპონელი ჯარების იერიშები ლიუხანზე 29 სექტემბერს წარმატებით მოიგერიეს. იაპონიის ხომალდები განაგრძობენ პუტუნის ბომბარდირებას.

ჩინეთის შტაბის ცნობით, 22 სექტემბერს ჩინეთის ჯარები გარშემოერტყნენ მთლიანად იაპონელთა 300 კაციან რაზმს სუცუნის მახლობლად და მთლად განადგურეს იგი.

რესპუბლიკელთა წარმატებები

(საქდესის ცნობების მიხედვით)

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

23 სექტემბერს ხაკას სექტორში რესპუბლიკის ჯარებმა დაიკავეს ხაკას აღმოსავლეთით მდებარე რამდენიმე დასახლებული პუნქტი.

ჩრდილოეთის ფრონტი

სამხრეთ სექტორში მთავრობის ჯარებმა სწრაფი იერიშით დაიკავეს სიმაღლე 1562, ხელთ იგდეს რა დიდძალი შაშხანები და საჭურველი.

ცენტრალური ფრონტი

მთავრობის არტილერია 5 საათის განმავლობაში ყუმბარებს უშენდა იარაღის ქარხანას ტოლედოში, რამაც იქ ნგრევა გამოიწვია. არტილერიამ გაისროლა ათასამდე ყუმბარა.

ჰავასის სააგენტო მადრიდიდან იუწყება, რომ რესპუბლიკელთა არტილერია ღამით ესროდა მეამბოხეთა ბატარეებს, რომელნიც ხარაბიტასის მაღლობზე იდგნენ. მეამბოხეთა ძალების სარდალმა მადრიდის ფრონტზე გენერალმა ვარელამ ყუმბარის გასკდომის შედეგად მიიღო სამი ჭრილობა, რომელთაგან ერთი მძიმეა.

კრეისერი „კელნი“ ჩავიდა ალჟესირასს

ლონდონი, 23 სექტემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ დღეს ალჟესირასს მივიდა გერმანიის კრეისერი „კელნი“.

ანტიფაშისტური გამოსვლები ბერლინში

ბერლინი, 23 სექტემბერი (საქდესი). დღეს დილით მოულოდნელად გამოვიდა გერინგის ბრძანება ბერლინის დაბნელების (თავდაპირველი ბრძანებით მანევრებთან დაკავშირებით აკრძალული იყო ქალაქის ყოველგვარი განათება 26 სექტემბრამდე) შეწყვეტის შესახებ. დაბნელების შეწყვეტას ასაბუთებენ ქალაქის საქმიანი, სამეურნეო ცხოვრების ინტერესთა მხედველობაში მიღებით, აგრეთვე „მოსახლეობის სამაგალითო ყოფაქცევით“. გერინგის ბრძანება, უეჭველია, დაკავშირებულია მოსახლეობის მიერ უკმაყოფილების გამოხატვასთან. „სამეურნეო ინტერესების“ მომიზეზება მოწმობს იძულებით დათმობას გერმანიის იმ საქმიანი წრეებისათვის, რომელთაც ყველაზე მეტ ზარალს აყენებდა ეს ბრძანება:

ბრძანების გაუქმების ნამდვილი მიზეზი, როგორც სჩანს, სხვაგან მარხია. როგორც გადმოგვცემენ, ბერლინში ოცდაერთ სექტემბერს ღამით შუქის უქონლობის გამო გაავრცელეს ფურცლები, რომლებიც აშკარავებენ ომის ფაშისტურ პოლიტიკას და განმარტავენ ესპანეთისა და ჩინეთის ამბებს.

ფაშისტურ თავდასხმის ცდა საფრანგეთზე

პარიზი, 22 სექტემბერი (საქდესი). გამოირკვა, რომ საფრანგეთის ხელისუფალთა მიერ დაპატიმრებული ესპანელი ფაშისტი, ირუნის სამხედრო გუბერნატორი, მაიორი ტრონკოსო უშუალოდ ხელმძღვანელობდა ესპანეთის მთავრობის ნავ „C-2“-ზე თავდასხმას ბრესტში. ის იცნეს ამ წყალქვეშა ნავის მატროსებმა.

„სე სუარის“ ცნობის მიხედვით, ტრონკოსომ სან-სებასტიანში მცხოვრებ გენერალ მანჩინის დახმარებით შეიმუშავა საფრანგეთის ბასკთა პროვინციების ტერიტორიებზე თავდასხმის გეგმა. ბასკთა ქვეყნის სახალხო ფრონტის პარტიებისა და ორგანიზაციების დელეგაცია, რომელიც პარიზს მიემგზავრება, მიღებულ იქნება ხვალ მთავრობის წევრების მიერ, რომელთაც დელეგაცია გადასცემს იმის უდაო დამამტკიცებელ დოკუმენტებს, რომ საფრანგეთს სამძიმო ამბები მოელოდა.

ესპანელ ფაშისტთა გეგმა ითვალისწინებდა თავდასხმას საფრანგეთის ბასკთა სანაპიროზე იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოთ ფრანგი ფაშისტების გამოსვლისათვის, რაც განზრახული იყო 8 ოქტომბრისათვის. ინსტრუქციები ასეთი იყო:

1) ღამით შეიარაღებულ ფრანგ ფაშისტებს ესპანელი ფაშისტური ელემენტების დახმარებით უნდა დაეკავებინათ წინასწარ მითითებული სტრატეგიული პუნქტები.

2) იმავე მომენტში მოტორიზებულ კოლონებს უნდა გადაეჭრათ ირუნის საერთაშორისო ხიდი და ბეჰობიის ხიდი.

3) ფუენტერაბიასა, პასაჰესსა და სან-სებასტიანში თავმოყრილ გემებს შეიარაღებული რაზმები უნდა გადაესხათ სენ ჟან დე ლიუსსა და საფრანგეთის ბასკების სანაპიროს სხვა პუნქტებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარის კონტრრევოლუციური საჯანყებო, ჯაშუშურ-ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის მონაწილეთა პროცესი

საბრალდებო დასკვნა

ზ. დ. ლორთქიფანიძის, ჯ. მ. ქიქავას, გ. ე. რამიშვილის, გ. ე. ლაღიძის, ი. ი. მეგრელიძის, ქ. ხ. ბასილაძის, ს. უ. ბეჟანიძის, ხ. უ. ძნელაძის, ხ. ხ. ჩალოღლის, ო. რ. რომანაძისა და ო. თ. ვანაძის

ბრალდებისა გამო სამშობლოს ღალატსა, კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში მონაწილეობასა, შეიარაღებული აჯანყების მომზადებასა, ტერორისტული აქტების მომზადებასა, ჯაშუშობასა, მავნებლობასა და დივერსიაში,—ე. ი. იმ დანაშაულთა ჩადენაში, რომლებიც გათვალისწინებულია საქ. სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-1ა, 58-2, 58-6, 58-8, 58-9, 58-11 მუხლებით

აჭარის ასსრ შინსახკომის მიერ 1937 წელს აღმოჩენილ და ლიკვიდირებულ იქნა ჯაშუშური, შეიარაღებული აჯანყების მომწყობი, ტერორისტული, დივერსიული მავნებლური ორგანიზაცია.

აღნიშნული კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, ერთერთი უცხო სახელმწიფოს დაზვერვის დავალებით, შექმნა და ხელმძღვანელობდა ამ საქმის გამო ბრალდებული ზექერია ლორთქიფანიძე, — აჭარის ცაკის ყოფილი თავმჯდომარე, რომელიც ჯერ კიდევ ორგანიზაციის ჩამოყალიბებამდე ამ უცხოეთის სახელმწიფოს დაზვერვის ჯაშუში იყო.

კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომელსაც მეთაურობდა ზექერია ლორთქიფანიძე, აწარმოებდა ანტისაბჭოთა ძირგამომთხრელ ჯაშუშურ - მავნებლურ მუშაობას კონტრრევოლუციურ ტროცკისტებთან, მენშევიკებთან და ფაშისტებთან ერთად.

ამავე დროს კონტრრევოლუციური ორგანიზაცია კავშირში იყო აჭარიდან გაქცეულ და ემიგრაციაში მყოფ ბეგებთან, მოლებთან და კულაკებთან.

კონტრრევოლუციური ორგანიზაცია მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, აჭარის ჩამოშორებას სსრკ-დან და კაპიტალისტური წესწყობილების აღდგენას საბჭოთა კავშირზე კაპიტალისტური ქვეყნების თავდასხმის მომენტში აჯანყების მოწყობით და პარტიისა და ხელისუფლების ხელმძღვანელთა მიმართ ტერორის გამოყენებით.

სახალხო მეურნეობის ძირგამოთხრის და მშრომელთა შორის საკ. კ. პ. (ბ) და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკით ხელოვნურად უკმაყოფილების გამოწვევის მიზნით კონტრრევოლუციური ორგანიზაცია ატარებდა მავნებლობას მრეწველობაში, ვაჭრობასა და სასოფლო მეურნეობაში.

კონტრრევოლუციური ორგანიზაცია ამახინჯებდა პარტიის პოლიტიკას საკოლმეურნეო მშენებლობაში, აწარმოებდა ძირგამომთხრელ დეზორგანიზატორულ მუშაობას კოლმეურნეობებში, აფერხებდა სასოფლო მეურნეობის კულტურებისა და მეცხოველეობის განვითარებას, ამცირებდა სოფლის მეურნეობის შემოსავლიანობას, მხარს უჭერდა კულაკობასა და სასულიერო წოდებას, აბუჩად იგდებდა კოლმეურნეთა და მშრომელი გლეხობის მოთხოვნილებებს. ამახინჯებდა საბჭოთა კანონებს აჭარის მშრომელი გლეხობის კეთილდღეობის საზიანოდ და ამრიგად ცდილობდა გამოეწვია მშრომელ გლეხობაში უკმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ და ეს უკმაყოფილება გამოეყენებინა თავის ბოროტმოქმედურ კონტრრევოლუციურ მიზნებისათვის.

ამავე მიზნებით ორგანიზაციის მონაწილენი ავრცელებდნენ სოფლად ყოველგვარ კონტრრევოლუციურ ჭორებს, პროვოკაციას ეწეოდნენ და ამახინჯებდნენ საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებს სოფლად.

* * *

1928-1931 წლების პერიოდში ამ საქმის გამო ბრალდებულებმა ზექერია ლორთქიფანიძემ და ჯემალ ქიქავამ, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების და პარტიის პოლიტიკას, იდგნენ რა კულაკობის თავისუფალი განვითარების და სასულიერო წოდებისა და ყოფილ ბეგებისათვის პოლიტიკურ უფლებათა მინიჭების გზაზე, ბოროტმოქმედური კავშირი გააბეს ერთერთ უცხო სახელმწიფოს დაზვერვასთან, რომელთანაც აწარმოეს ფარული მოლაპარაკება აჭარის ჩამოშორების შესახებ სსრკ-დან, აჭარაში კაპიტალისტური წესწყობილების აღდგენის მიზნით.

შემდგომ წლებში, რამდენადაც მტკიცდებოდა ბრალდებული ზექერია **ლორთქიფანიძის** და ჯემალ ქიქავას ჯაშუშური კავშირი ამ უცხო სახელმწიფოს დაზვერვასთან, უკანასკნელის წარმომადგენელს ისინი შეუთანხმდნენ აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ კონტრრევოლუციური ბრძოლის გაჩაღების შესახებ.

1933 წელს **ლორთქიფანიძემ** და **ქიქავამ** ამ უცხო სახელმწიფოს დაზვერვის წარმომადგენლისაგან მიიღეს პირდაპირი მითითება — შეექმნათ კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომლის მიზანი იყო შეიარაღებული აჯანყების მოწყობა საბჭოთა კავშირზე კაპიტალისტური ქვეყნების მიერ თავდასხმის მომენტში. უცხოეთის სახელმწიფოს დაზვერვის წარმომადგენელი **ლორთქიფანიძეს** და **ქიქავას** დაჰპირდა დახმარებას იარაღით და ფულით.

ბრალდებულმა ზექერია **ლორთქიფანიძემ** დაკითხვაზე 1937 წლის 11 აგვისტოს აჩვენა:

„ჩვენი ძირითადი მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა აჭარაში და ბურჟუაზიული წესწყობილების დამყარება. აუცილებელ საჭიროდ მიგვაჩნდა სრული თავისუფლება მიგვენიჭებინა კერძო მეურნეობათა სექტორისათვის სოფლად. გეზი გვქონდა აღებული ერთპიროვნულ კულაკურ მეურნეობის განვითარებაზე. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნდა დაგვეწესებინა თავისუფალი ვაჭრობა და დაგვებრუნებინა ბეგებისა და აღალარებისათვის ის მიწები, რომლებიც მათ ჩამოართვა საბჭოთა ხელისუფლებამ და გადასცა აჭარის ღარიბ გლეხობას. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნდა დაგვებრუნებინა სასულიერო პირთათვის უწინდელი უპირატესობანი და სხვა“.

„ჩვენი მიზანი იყო აჭარა რომელიმე კაპიტალისტურ სახელმწიფოს პროტექტორატის ქვეშ მოგვექცია, ე. ი. გაგვეხადა იგი ფაქტიურად კაპიტალისტური სახელმწიფოს კოლონიად, ხოლო აჭარის მშრომელი მოსახლეობა ბეგებისა და უცხო კაპიტალის მონებად“.

„1933 წელს ერთერთი უცხო სახელმწიფოს დაზვერვის წარმომადგენელმა, რომელთანაც მე ჯერ კიდევ 1928 წლიდან მქონდა მჭიდრო კავშირი, ერთერთი შეხვედრისას მითხრა, რომ ჩვენ კონტრრევოლუციურ მუშაობას ვაწარმოებთ არასაკმარისად, რომ ჩვენი ძალები დაქსაქსულია და წინადადება მოგვცა შეგვექმნა ორგანიზაცია შეიარაღებული აჯანყების მომზადების მიზნით, გამოგვეყენებინა ყველა კონტრრევოლუციური ძალები აჭარაში. მე მას ამაზე თანხმობა გამოვუცხადე“...

ამავე საკითხის ირგვლივ ბრალდებულმა ჯემალ ქიქავამ დაკითხვაზე ამა წლის 9 აგვისტოს აჩვენა:

„ჩვენი კონტრრევოლუციური ჯაშუშური შეიარაღებული აჯანყების მომწყობი ორგანიზაცია ჩამოყალიბდა 1933 წელს უცხოეთის ერთერთი სახელმწიფოს დაზვერვის წარმომადგენლის პირდაპირი მითითებით, რომელთანაც ჩვენ დაკავშირებული ვიყავით...

საუბრისას, რომელიც წარმოებდა ქიაზიმ ბასილაძის ბინაზე, აღნიშნულმა უცხოეთის სახელმწიფოს დაზვერვის წარმომადგენელმა ჩვენ ძირითად ამოცანად დაგვისახა შეიარაღებული აჯანყების მომზადება და აღვეთქვა, რომ დაგვეხმარებოდა ფულით და საჭირო მომენტში მოგვაწვდიდა იარაღს“.

მიიღეს რა დავალება უცხოეთის ერთერთ სახელმწიფოს დაზვერვისაგან კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მოწყობის შესახებ, ბრალდებულმა ზექერია **ლორთქიფანიძემ** და **ჯემალ ქიქავამ** გაშალეს კონტრრევოლუციური მუშაობა.

ორგანიზაციის ხელმძღვანელობისათვის გამოყოფილ იქნა ხელმძღვანელი კომიტეტი.

ამავე საკითხზე ბრალდებულმა ზექერია **ლორთქიფანიძემ** დაკითხვაზე ა-წლის 11 აგვისტოს აჩვენა:

„არალეგალურ თათბირზე, რომელიც მოეწყო ჩემს ბინაზე 1933 წელს, ჩემი წინადადებით გამოიყო ჩვენი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ცენტრი — კომიტეტი, რომელიც უხელმძღვანელებდა ჩვენს კონტრრევოლუციურ მუშაობას“...

ბრალდებულმა ჯემალ ქიქავამ ამავე საკითხის შესახებ დაკითხვაზე ა/წლის 26 ივლისს აჩვენა:

„ჩვენ დავადგინეთ შეგვექმნა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელი კომიტეტი. კომიტეტში შევიდნენ: ზექერია **ლორთქიფანიძე,** მე — ჯემალ **ქიქავა,** ზექერია **ბერიძე,** მუედინ **სურმანიძე,** ქიაზიმ **ბასილაძე,** ოსმან **დავითაძე** და რიზა **ხოზრევანიძე.** შემდეგში კომიტეტის ეს შემადგენლობა შევსებულ იქნა ახალი წევრებით, სახელდობრ: სულეიმან **ზაქარიაძით,** ოსმან **მოწყობილით,** მემედ **გვარიშვილით** და ილიას **მეგრელიძით**“.

უცხოეთის დაზვერვები და კონტრრევოლუციური ემიგრაცია, გარდა ამისა, ამარაგებდა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციას ფულით ანტისაბჭოთა მუშაობის გაშლისათვის

ბრალდებულ ზექერია **ლორთქიფანიძეს** გაჩხრეკისას სახლის სხვენზე უნახეს და ჩამოართვეს უცხოეთის ოქროს ვალუტა, რომელიც მან მიიღო უცხოეთის დაზვერვისაგან. მალე კონტრრევოლუციურ აჯანყების მომწყობ ორგანიზაციის ჩამოყალიბების შემდეგ, 1934 წლის გაზაფხულზე კომიტეტმა ზექერია **ლორთქიფანიძის** და ჯემალ **ქიქავას** სახით კავშირი გააბა ბათუმში ჩამოსულ ტროცკისტულ ანტისაბჭოთა საკავშირო ცენტრის წევრთან, ხალხის მტერ **სერებრიაკოვთან** და საქართველოში კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ ცენტრის წარმომადგენელ **ქურდაძესთან,** რომელსაც გააცნეს ორგანიზაციის მუშაობა და მიიღეს მათგან მითითებები კონტრრევოლუციური შემდგომი შეთანხმებული მუშაობისათვის.

ბრალდებულმა ზექერია **ლორთქიფანიძემ** ამ საკითხის ირგვლივ დაკითხვაზე 1937 წლის 11 აგვისტოს აჩვენა:

„1934 წლის დასაწყისში მე და ჯემალ **ქიქავა** შევხვდით ქალაქ ბათუმში ჩამოსულ ცნობილ ტროცკისტებს **სერებრიაკოვსა** და **ქურდაძეს,** რომლებმაც, იცოდნენ რა ჩვენთან წინასაუბრებიდან ჩვენი ანტისაბჭოთა განწყობილება, გვითხრეს, რომ საბჭოთა კავშირში ტროცკისტები კონტრრევოლუციურ მუშაობას ეწევიანო. მაშინ ჩვენ მათ ვაცნობეთ ჩვენი კონტრრევოლუციური - შეიარაღებული აჯანყების მომწყობ ორგანიზაციის არსებობა და მუშაობა. **სერებრიაკოვმა** და **ქურდაძემ** მოგვიწონეს ჩვენი კავშირი უცხოეთის დაზვერვასთან, მოგვცეს კონკრეტული მითითებანი კონტრრევოლუციური მუშაობისათვის და შეგვპირდნენ დახმარებას მოსკოვიდან და თბილისიდან“...

1935 წლიდან კონტრრევოლუციური ორგანიზაცია დაკავშირებული იყო მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან საქართველოში — გერმანე **მგალობლიშვილისა** და თენგიზ **ჟღენტის** სახით, რომლებსაც შეუთანხმდა ერთად მოეწყოთ შეიარაღებული აჯანყება და შეექმნათ ბლოკი სხვა კონტრრევოლუციურ ჯგუფებთან.

1937 წლის 2 სექტემბრის დაკითხვაზე ბრალდებულმა ზექერია **ლორთქიფანიძემ** აჩვენა:

1935 წლის ბოლოს ქ. ბათუმში ჩამოვიდა თენგიზ **ჟღენტი,** რომელმაც **მგალობლიშვილის** სახელით მითითება მომცა ბლოკი შემეკრა სხვა ანტისაბჭოთა ჯგუფებთან აჭარაში... **მგალობლიშვილმა** წინადადება მომცა იმის შესახებ, რომ შეიარაღებული აჯანყება აჭარაში უნდა დაწყებულიყო ერთდროულად საქართველოს სხვა რაიონების აჯანყებასთან“...

იმ მითითების მიხედვით, რომლებიც მიღებული იყო ზემოდასახელებულ სერებრიაკოვის, ქურდაძის, თენგიზ ჟღენტისა და მგალობლიშვილისაგან 1935 წელს უცხოეთის დაზვერვის დასტურით კონტრრევოლუციური ორგანიზაციის კომიტეტი შეუთანხმდა სხვა კონტრრევოლუციურ ჯგუფებს, რომლებიც არალეგალურ ანტისაბჭოთა მუშაობას აწარმოებდნენ აჭარაში.

1936 წლის მარტში მოეწყო აჭარის კონტრრევოლუციური ორგანიზაციების გაერთიანებული ცენტრი, რომელშიც შევიდნენ აჭარის კონტრრევოლუციური კომიტეტიდან ზექერია **ლორთქიფანიძე,** ჯემალ **ქიქავა,** ზექერია **ბერიძე** და სხვები.

კონტრრევოლუციონერ ტროცკისტებიდან—გიორგი **რამიშვილი,** ი. **სურგულაძე,** პ. **ცხოიძე.**

ფაშისტებიდან—გრიგოლ **ლაღიძე.**

მენშევიკებიდან—კალე **გოგიბერიძე,** პ. **საბაშვილი,** გ. **კოპლატაძე.**

გაერთიანებული ცენტრის შექმნის შესახებ ბრალდებულმა ზექერია **ლორთქიფანიძემ** დაკითხვაზე ა/წლის 26 ივლისს აჩვენა:

„1935 წლის ბოლოს ჩვენ ვიმსჯელეთ კომიტეტის სხდომაზე სხვა ანტისაბჭოთა ორგანიზაციებთან ბლოკის შეკვრის შესახებ. ამ სხდომაზე გადაწყდა მოვლაპარაკებოდით ამ ჯგუფების უფრო ცნობილ წევრებს ქ. ბათუმში.

წინასწარი მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ ჩემს ბინაზე მოწვეულ იქნა ანტისაბჭოთა ჯგუფების წარმომადგენელთა თათბირი და გავაფორმეთ ბლოკი“.

ამ საკითხზე ბრალდებულმა გიორგი **რამიშვილმა**—კონტრრევოლუციური ტროცკისტული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა—ა/წ. 31 აგვისტოს დაკითხვაზე აჩვენა:

„მივიღე რა ბუდუ **მდივანისაგან** დავალება შეგვექმნა აჭარაში კონტრრევოლუციური ბლოკი და ცენტრი, მე მოველაპარაკე ზექერია **ლორთქიფანიძეს** და ცენტრი ჩვენ მიერ შექმნილ იქნა“.

გაერთიანებულმა **ცენტრმა** საერთო ამოცანად დასახა ყველა მასში გაერთიანებულ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციებისათვის შეიარაღებული აჯანყების მომზადება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ამ მიზნით საჯანყებო მებრძოლ რაზმების შექმნა, საზღვარგარეთელ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციებთან და უცხოეთის დაზვერვებთან კავშირის დაჭერა და სახალხო მეურნეობისათვის ძირის გამოთხრა მავნებლობით.

ბრალდებულმა **ლაღიძემ** დაკითხვაზე ა. წ. 11 სექტემბერს აჩვენა:

„გაერთიანებულმა კონტრრევოლუციურმა ცენტრმა მიიღო შემდეგი გეზი:

1. საბჭოთა ხელისუფლების დამხობა შეიარაღებული აჯანყების გზით, კონტრრევოლუციურ საჯანყებო ჯგუფების მომზადება და შექმნა.
2. აჭარაში არსებულ ყველა კონტრრევოლუციურ ჯგუფების გაერთიანება.
3. მავნებლობა სახალხო მეურნეობაში“.

ანხორციელებდა რა შეიარაღებულ აჯანყების მზადებას, გაერთიანებულ ცენტრს და მასში შემავალ თითეულ კონტრრევოლუციურ ჯგუფს ჰქონდა შეიარაღებული აჯანყების გეგმა და ამზადებდა საჯანყებო რაზმებს და მებრძოლ ჯგუფებს აჭარის რაიონებში და ქ. ბათუმში, აბამდნენ რა მასში უმთავრესად ანტისაბჭოთა პარტიების ყოფილ წევრებს, ყოფილ ბეგებსა და აღალარებს, ყოფილ ოფიცრებსა და კულაკებს.

ასე, მაგალითად, ბრალდებულმა ქიაზიმ **ბასილაძემ** ა/წ. 23 აგვისტოს დაკითხვაზე აჩვენა:

„დღიდან ორგანიზაციის ჩამოყალიბებისა ჩვენ ვცდილობდით აგვემხედრებინა გლეხობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენ სისტემატურად ვეწეოდით აგიტაციას ყველა სამეურნეო და პოლიტიკური ღონისძიებების წინააღმდეგ საგადასახადო, სოფლის პროდუქტების დამზადების, გეგმიანი თესვის, საბჭოთა სკოლების წინააღმდეგ სოფლად და ამათ საფუძველზე ვაწარმოებდით ჩვენს მხარეზე გადმობირებას და ვამზადებდით კონტრრევოლუციურ საჯანყებო ჯგუფებს.

უნდა ვთქვა, რომ ძირითადად ორგანიზაციაში ჩვენ ვაბამდით ყოფილ ბეგებს, აღალარებს, ხოჯებს, რომლებიც სიხარულით ხვდებოდნენ ჩვენს ზრახვებს, რადგან ჩვენი მიზნები მათ ინტერესებს გამოხატავდნენ“.

ბრალდებულმა **ლაღიძემ** ა. წ. 11 სექტემბერს დაკითხვაზე აჩვენა:

„ჩვენ ვაბამდით ორგანიზაციაში და ვამზადებდით კონტრრევოლუციურ საჯანყებო რაზმებს უმთავრესად ანტისაბჭოთა პარტიების ყოფილი წევრებისაგან, ყოფილ ოფიცრებისაგან, ნაწილობრივ ანტისაბჭოურად განწყობილ ძველი ინტელიგენციიდან“.

ტერორისტული აქტების მომზადება დაკისრებული ჰქონდა კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ ორგანიზაციას.

ზექერია **ლორთქიფანიძემ** დაკითხვაზე 1937 წლის 15 აგვისტოს აჩვენა:

„ბათუმში **ალი გვარელ-ოღლის** დავალებული ჰქონდა აჯანყების მომენტში დაეპატიმრებინა და დაეხვრიტა საბჭოთა ხელისუფლების ერთგული მუშაკები.

ვიმყოფებოდით რა ბლოკში ტროცკისტებთან, ვიცოდით მათი ტერორისტული მოქმედების შესახებ. გაერთიანებული ცენტრის სხდომაზე პარმენ **ცხოიძემ** და ივლიანე **სურგულაძემ** ილაპარაკეს თავიანთი განზრახვების შესახებ ცალკეული ტერორისტული აქტების განხორციელების თაობაზე პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მიმართ“.

ბრალდებულმა **ლაღიძემ** 8 სექტემბერს დაკითხვაზე აჩვენა:

„ზექერია **ლორთქიფანიძემ** და ჯემალ **ქიქავამ** შემატყობინეს მე, რომ ტერორისტული აქტების განხორციელება პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მიმართ დავალებული აქვთ ტროცკისტებს“.

კონტრრევოლუციური ტროცკისტული ორგანიზაცია ბრალდებული გიორგი **რამიშვილის** ხელმძღვანელობით ამზადებდა ტერორისტულ აქტს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივნის ამხ. ლ. პ. **ბერიას** წინააღმდეგ.

„ბუდუ **მდივანმა** დამავალა მე კავშირი დამეჭირა ბათუმში დავით **ლორთქიფანიძესთან,** ევგენი **სიხარულიძესთან** და მომეწყო ტროცკისტული ორგანიზაცია. ჩვენ მიერ აჭარაში მოწყობილმა კონტრრევოლუციურ ტროცკისტულმა ორგანიზაციამ მოაწყო ტერორისტული ჯგუფები და ემზადებოდა ტერორისტული აქტისათვის საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივნის ლ. პ. **ბერიას** მიმართ. სანდრო **ჯორბენაძეს** მე მივეცი ცენტრის დავალება ტერორისტული აქტის მოხდენის შესახებ **ბერიას** მიმართ, რაშიაც პირადად მონაწილეობა უნდა მიეღო თვითონ **ჯორბენაძეს.** ტერორისტული აქტის მოხდენის დროის შესახებ საქართველოს კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ ცენტრს უნდა ეცნობებინა აჭარის ცენტრისათვის.

სანდრო **ჯორბენაძის** დაპატიმრებასთან დაკავშირებით 1937 წლის აპრილში, ქალაქ თბილისში ჩემს ბინაზე მე ლაპარაკი მქონდა ჩემ მიერ კონტრრევოლუციურ-ტროცკისტულ ორგანიზაციაში ჩაბმულ გარო **ალამჯანოვთან,** რომელსაც მე დავავალე აელო თავის თავზე ბათუმში ტერორისტული აქტის მოხდენა **ლ. ბერიას** მიმართ. **ალამჯანოვმა** მიიღო ჩემგან ეს დავალება და დამპირდა მის შესრულებას“.

(გ. რამიშვილის ჩვენებიდან 1937 წლის 10 სექტემბერს).

კონტრრევოლუციურ ორგანიზაციას რეგულარული კავშირი ჰქონდა აჭარის ანტისაბჭოთა ემიგრაციასთან. საზღვარგარეთ გაქცეული ყოფილი ბეგები **ხიმშიაშვილი, ბიბინ-ზადე** და **აბაშიძე,** აგრეთვე ხოჯები — მოლა იხვან **გოგიბერიძე,** მოლა აკიფ **ყიფიანი,** ისკანდერ **ციკაძე** და სხვები შეუთანხმდნენ უცხოეთის სახელმწიფოთა ბურჟუაზიულ წრეებს იმის შესახებ, რომ ბურჟუაზიული წყობილების აღდგენის შემთხვევაში აჭარას გადასცემდნენ უცხოეთის კაპიტალისტებს იმ დახმარების სამაგიეროდ, რასაც ისინი უწევდნენ კონტრრევოლუციური მუშაობის გაშლას აჭარაში.

ასე, მაგალითად, ბრალდებულმა ქიაზიმ **ბასილაძემ** 20 აგვისტოს დაკითხვაზე აჩვენა:

„ჩვენი კონტრრევოლუციური საჯანყებო ორგანიზაცია დაკავშირებული იყო აჭარიდან გაქცეულ ყოფილ ბეგებთან, ხოჯებთან და სხვა ემიგრანტებთან. ჩვენ შეგნებულად მივდიოდით აჭარის მშრომელი მასების ინტერესების წინააღმდეგ, თუ წარმატებით დამთავრდებოდა ჩვენ მიერ მზადებული შეიარაღებული აჯანყება, ჩვენ აჭარის მშრომელთა მასებს მონებით ვაძლევდით ბეგებსა და აღალარებს. საბჭოთა ხელისუფლების დამხობის შემთხვევაში ყოფილი ბეგები, ხოჯები და აღალარები უნდა აღდგენილიყვნენ თავიანთ უფლებებში, რომლებიც ჰქონდათ რევოლუციამდე, და ისინი მიიღებდნენ თავიანთ ქონებას, რომლითაც ახლა სარგებლობენ გლეხები.

ჩვენი კონტრრევოლუციური ორგანიზაცია აჭარის ემიგრანტებისაგან ღებულობდა მითითებებს კონტრრევოლუციური მუშაობის შესახებ მუედინ **სურმანიძის** და ზექერია **ლორთქიფანიძის** მეშვეობით.

ჩვენი ორგანიზაციის მთელმა ხელმძღვანელმა შემადგენლობამ, მათ შორის მეც, ვიცით, რომ აჭარის კონტრრევოლუციური ემიგრაცია შეუთანხმდა უცხოეთის ერთერთ სახელმწიფოს დაზვერვას ჩვენი ორგანიზაციისათვის დახმარების გაწევის შესახებ იარაღითა და ფულით“.

1935 წელს კონტრრევოლუციური ორგანიზაციები ღებულობენ საქართველოს კონტრრევოლუციური ტროცკისტული ცენტრისაგან და უცხოეთის დაზვერვის წარმომადგენლისაგან დავალებას სახალხო მეურნეობაში მავნებლური ძირგამომთხრელი მუშაობის გაშლის შესახებ.

ღებულობს რა დავალებას მავნებლობაზე, აჭარის კონტრრევოლუციური საჯანყებო ორგანიზაცია იწყებს მის განხორციელებას. მავნებლური მუშაობა ჩაღდება ჯანმრთელობის დაცვის, სახელმწიფო ვაჭრობისა და განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობის დარგში.

ასე, მაგალითად, გიორგი **რამიშვილი** დაკითხვაზე 1937 წ. 23 აგვისტოს იძლევა შემდეგ ჩვენებას:

„მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგებში მავნებლური მუშაობით ჩვენი კონტრრევოლუციური ტროცკისტული ორგანიზაცია მიზნად ისახავდა ძირი გამოეთხარა ქვეყნის მრეწველობისათვის, საკოლმეურნეო მშენებლობის განვითარებისათვის, დაენგრია არსებული კოლმეურნეობანი.

მავნებლური მუშაობით ჩვენ გვინდოდა გამოგვეწვია მასობრივი უკმაყოფილება კოლმეურნეებსა და საერთოდ ქალაქისა და სოფლის მშრომელებს შორის. ვცდილობდით რა გამოგვეწვია მოსახლეობაში უკმაყოფილება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, ჩვენი ტროცკისტული ორგანიზაცია მიმართავდა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დირექტივების განზრახ დამახინჯების სისტემას მშრომელთა ინტერესების საზიანოდ“.

ამავე საკითხზე ზექერია **ლორთქიფანიძემ** 1937 წლის 23 აგვისტოს დაკითხვაზე აჩვენა:

...„1935 წელს მე მივიღე **ქურდაძისაგან** მითითებანი მავნებლობის მოწყობის შესახებ. ამავე პერიოდში უცხოეთის დაზვერვის წარმომადგენელმა, რომელთანაც მე ვიყავი დაკავშირებული, მიმითითა მე იმაზე, რომ ჩვენ არასაკმარისად ვაწარმოებთ კონტრრევოლუციურ მუშაობას კოლმეურნეობებში. მან წინადადება მომცა, გაგვეძლიერებინა კონტრრევოლუციური მუშაობა კოლმეურნეობებში და მოგვეხდინა მათი დაშლა. ჩემთან ბინაზე მე გავაცანი ეს მითითებანი ჩვენი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელი ცენტრის წევრებს და დავავალე მავნებლური მუშაობის წარმოება ხულოს რაიონში—ხულოს ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, რაიაღმასკომის ყოფილ თავმჯდომარეს სულეიმან **ბეჟანიძეს** და რაიმიწგანის გამგეს ნური **გამრეკელიძეს.** ქედის რაიონში — „თამბაქონედლეულის“ ყოფილ მმართველს ზექერია **ბერიძეს** და ქიაზიმ **ბასილაძეს,** ქობულეთის რაიონში — შინავაჭრობის ყოფილ სახალხო კომისარს ოსმან **მოწყობილს** და რაიკომის მდივნის ყოფილ მოადგილეს ხასან **ძნელაძეს**“.

ბრალდებულმა ჯემალ ქიქავამ 1937 წლის 5 სექტემბერს დაკითხვაზე აჩვენა:

„გაერთიანებული კონტრრევოლუციური ცენტრის თათბირზე 1936 წელს ტროცკისტების მიერ წამოყენებულ იქნა ხაზი ძირგამომთხრელი მავნებლური მუშაობის გაშლის შესახებ მრეწველობასა და ვაჭრობაში. ჩვენ უნდა მოგვეწყო გეგმების ჩაშლა მრეწველობის დარგში. ჩვენ უნდა ჩაგვეშალა მუშათა მომარაგება, საბინაო მშენებლობა, მოგვეწყო მოსახლეობისათვის სამრეწველო საქონლის მიწოდების შეფერხება, გვეწარმოებინა ნაკლებად საჭირო სამრეწველო საქონლის შეძენა. ამით უნდა შეგვექმნა მოსახლეობაში შთაბეჭდილება, რომ ცხოვრება კი არ უმჯობესდებოდა, არამედ უარესდებოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ვერ ართმევს თავს დასახულ ამოცანებს. ეს მავნებლური მითითებანი მიღებულ იქნა აჭარის კონტრრევოლუციური საჯანყებო ორგანიზაციის ცენტრის მიერ და ხორციელდებოდა ორგანიზაციის წევრების მეშვეობით. პირადად მე **კეიგელუხის** და სულეიმან **ბერიძის** მეშვეობით მოვაწყე აჭარვაჭრობის სისტემაში მავნებლური მუშაობა. ოსმან **კონცელიძე** მავნებლურ მუშაობას აწარმოებდა ჯანსახკომის ხაზით, ხოლო სულეიმან **ზაქარიაძე** — ფინსახკომში, ამასთანავე სულეიმან **ზაქარიაძე** მავნებლურ მუშაობას ეწეოდა ფინსახკომში საგადასახადო საქმეში, რაც გამოიხატებოდა გლეხების უკანონოდ დაბეგვრაში“...

აჭარის სოფლის მეურნეობაში კონტრრევოლუციური მავნებლური მუშაობის საწარმოებლად ზექერია **ლორთქიფანიძემ** და გიორგი **რამიშვილმა** მიიზიდეს ამ საქმის გამო ბრალდებული მიწათმოქმედების ყოფილი სახკომი ილიას **მეგრელიძე.** ამავე ხანებში ანალოგიური დავალება მავნებლობის შესახებ ილიას **მეგრელიძემ** მიიღო მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ცენტრის წევრის, საქ. მიწათმოქმედების ყოფილი სახალხო კომისრის შალვა **მათიკაშვილისაგან.**

მავნებლობის შესახებ მიღებული დირექტივების განსახორციელებლად ილიას **მეგრელიძემ** განავითარა მავნებლური მუშაობა ციტრუსების კულტურების, ჩაის, თამბაქოს და მეცხოველეობის დარგებში, ე. ი. აჭარის სოფლის მეურნეობის ძირითად დარგებში.

ბრალდებულმა ილიას **მეგრელიძემ** 1937 წლის 21 აგვისტოს დაკითხვაზე აჩვენა:

...„მე ვაწარმოებდი მავნებლობას აჭარის სოფლის მეურნეობაში, საქართველოს მიწათმოქმედების ყოფილი სახალხო კომისრის **მათიკაშვილის** და აჭარის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელების — ზექერია **ლორთქიფანიძისა** და გიორგი **რამიშვილისაგან** მიღებული დირექტივების თანახმად. მავნებლობას ციტრუსოვანთა კულტურებისა და ჩაის დარგში ვახორციელებდი პირადად მე, ხოლო თამბაქოს და მეცხოველეობის დარგში კი — ჩემ მიერ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში ჩაბმული სხვა წევრები“..!

მავნებლობა ციტრუსოვან კულტურების დარგში ტარდებოდა ჩაის პლანტაციებზე ციტრუსოვან ხეების სქლად დარგვით, ციტრუსოვანი ნარგავების არახარისხოვანი წამლობით, ციტრუსების ნერგების გამოზამთრებისა და სასუქის გეგმის ჩაშლით და ძირების დაჭრით დაბუდნების დროს. ამით ორგანიზაცია მიზნად ისახავდა ციტრუსოვანი პლანტაციების შემცირებას.

ასე მაგალითად, ბრალდებულმა ილიას **მეგრელიძემ** 1937 წლის 21 აგვისტოს დაკითხვაზე აჩვენა:

...„მავნებლობის მიზნით ჩვენ ციტრუსოვან ხეებს ვრგავდით ჩაის პლანტაციებზე მჭიდროდ, ნაცვლად 65-100 ძირისა 400 და უფრო მეტ ხეს ჰექტარზე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა სალიბაურის, ახალშენის, ჩაქვისა და სხვა საბჭოთა მეურნეობებში, რითაც ორი-სამი წლის შემდეგ მთლიანი გაფუჭების საფრთხის წინაშე ვაყენებდით ციტრუსებისა და ჩაის ნარგავებს, რომ არ ყოფილიყო დროზე მიღებული საჭირო ზომები.

ციტრუსოვანთა ნარგავების წამლობას ვატარებდით მავნებლურად — დელფინის საპნით და სხვა პრეპარატებით. წამლობას ვატარებდით ნაკლები ან მეტი ნორმით და არა დანიშნული წამლით. ასე, მაგალითად, კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“ დაიღუპა 700 ხე იმიტომ, რომ ხეებს უწამლეს პარიზის მწვანით ბორდოს სითხის ნაცვლად.

ბუდანების გაფართოების დროს ციტრუსების ხეებს ვჭრიდით ფესვებს. ეს იწვევდა ნარგავების დასუსტებასა და ამცირებდა მოსავლიანობას, რასაც მაგალითად, ადგილი ჰქონდა მახინჯაურისა და სხვა საბჭოთა მეურნეობებში, ორთაბათუმის, დაგვის და სხვა სასოფლო საბჭოებში.

განზრახ ჩავშალეთ ციტრუსოვანი ნერგების გამოზამთრება. ასე, მაგალითად, ურეკის ციტრუსების სანერგეში თავის დროზე არ ააგეს გადასახურავი ფარდული, რის გამო გაიყინა და გაფუჭდა 60 ათას ნერგამდე.

ვშლიდით მინერალური და ბუნებრივი სასუქების შემოზიდვის გეგმას, ასეთების შემოზიდვას ვაწარმოებდით დიდი დაგვიანებით. სასუქის შემოზიდვის გეგმა 1937 წელს ქობულეთის რაიონში ჩაშლილ იქნა“...

ჩაის კულტურის დარგში მავნებლობა მიმართული იყო ჩაის ფოთლის მოსავლიანობის შემცირებისაკენ და სწარმოებდა ჩაის პლანტაციების არა ღრმა დაბარვით, ჩაის ბუჩქების არასწორი შეკრეჭით და გაფორმებით, სასუქების შეზიდვის ჩაშლით, უხარისხო სასუქების შეტანით, ჩაის პლანტაციების არა თავის დროზე გაწმენდით სარეველასაგან, ჩაის ფოთლის განუწყვეტელი კრეფის საბოტაჟით, კრეფის ვადების დარღვევით, ჩაის პლანტაციების ხელოვნურად დაავადებით.

კონტრრევოლუციური მუშაობის ერთერთმა ხელმძღვანელმა ქობულეთის რაიონში საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის მდივნის ყოფილმა მოადგილემ ხასან **ძნელაძემ** 1937 წლის 22-23 აგვისტოს დაკითხვაზე აჩვენა:

„კონტრრევოლუციურ საჯანყებო ორგანიზაციაში ჩემ მიერ ჩაბმულ კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სულეიმან **შავიშვილმა** კოლმეურნეობა „მუშა და გლეხის“ თავმჯდომარემ ჯემალ **შუბალიძემ,** ეჟოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ოსმან **რომანაძემ,** კოსარევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **ხასან პაპუნაიშვილმა** და სხვებმა ჩემი დავალებით ჩაატარეს მავნებლური მუშაობა ჩაის ბუჩქის გაფორმების დარგში, ჰკრეჭდნენ ახალი ვეგეტაციის ფოთლებს და დაგვიანებით იწყებდნენ ჩაის კრეფას.

კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის პლანტაციების გადაბარვა ჩატარდა მავნებლურად, ოცი ჰექტარი დაბარულ იქნა არასაკმარის სიღრმეზე და 15 ჰექტარზე მავნებლურად ჩატარდა გაფორმება. ათ ჰექტარზე გადაცილებულ იქნა ჩაის კრეფის ვადა.

ეჟოვის სახელობის კოლმეურნეობაში კონტრრევოლუციურ საჯანყებო ორგანიზაციის წევრმა ოსმან **რომანაძემ** გააფუჭა 35 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

კოლმეურნეობა „მუშა და გლეხში“ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრმა **შუბალიძემ** გადააბარვინა ჩაის პლანტაციები 20—25 სანტიმეტრის მაგივრად 10 სანტიმეტრის სიღრმეზე. კოლმეურნეობის ყველა პლანტაციაში გაფორმება ჩაატარეს ზერელედ, ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის დროს ზოგიერთ ადგილას დაუკრეფავად სტოვებდნენ ბუჩქებს.

..ჩემი მავნებლური მუშაობის შედეგად ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებმა 1937 წლის მაისში სახელმწიფოს დააკლეს 40 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. ივნისში ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმა შესრულებულ იქნა 67 პროცენტით, ხოლო ივლისში — 70 პროცენტით. ჩემი მავნებლური მუშაობით განსაკუთრებით დაზიანდა მიქოიანის, კიროვის, ეჟოვის სახელობის კოლმეურნეობანი და ქაქუთის კოლმეურნეობა“...

ამავე საკითხზე ბრალდებულმა ოსმან **რომანაძემ** 1937 წლის 16 აგვისტოს დაკითხვაზე აჩვენა:

„ეჟოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელისათვის ჩაის კულტურა არის ძირითადი შემოსავლის წყარო. მე მქონდა დავალებული ხასან **ძნელაძის** მიერ მომეხდინა პლანტაციების დაღუპვა. ამ დავალებათა შესასრულებლად, მე როგორც სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარემ, მოვახდინე ჩაის პლანტაციების არაღრმად გადაბარვა მწკრივთა შორის. შევიტანე ნორმაზე 50 %-ით ნაკლები სასუქი და ისიც დიდი დაგვიანებით. გათოხნა 1937 წ. მაისში ჩავატარე შესახედავად, პლანტაციები ისევ დარჩა დანაგვიანებული, სარეველა ბალახებით. ვუშვებდით ჩაის კრეფის ვადებს, რაც იწვევდა ფოთლების გახევებას, ხარისხის დაკლებასა და ჩაის გეგმის ჩაშლას. ჩაის ბუჩქების შეკრეჭას ვატარებდით მავნებლურად, ვჭრიდით არა იმ ფოთლებს, რომლისაც ეს ესაჭიროებოდა, რასაც ზიანი მოჰქონდა ახალი ვეგეტაციისათვის.

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

აჭარის კონტრრევოლუციური საჯანყებო, ჯაშუშურ-ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის მონაწილეთა პროცესი

საბრალდებო დასკვნა

(გაგრძელება)

ჩვენი მავნებლური ღონისძიებებით მე მივაღწიე კოლმეურნეთა შემოსავლის შემცირებას".

მავნებლობის საკითხზე ჩაის კულტურის დარგში ბრალდებულმა გიორგი **რამიშვილმა** 1937 წლის 23 აგვისტოს დაკითხვაზე აჩვენა:

..."მე დავავალე კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრებს ჩაის ფოთლის კრეფა ჩაეტარებინათ ისეთი მეთოდით, რომ შეემცირებინათ მწვანე ფოთლის გამოსავლიანობა. კერძოდ, მე მათ დავავალე გაეჭიანურებინათ ჩაის ფოთლის განუწყვეტელი კრეფის ახალი საშუალება".

კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მონაწილემ, ქობულეთის რაიაღმასკომის ყოფილმა თავმჯდომარემ **ყურშუბაძემ** 12 სექტემბრის დაკითხვაზე აჩვენა:

„... ჩამოთვლილი პირების დახმარებით მე შევძელი ჩაის ფოთლის კრეფა ისე მავნებლურად მეწარმოებინა, რომ მოსული ჩაიდანაც კი 20-25 % მოუკრეფავი რჩებოდა. განსაკუთრებით ძლიერ დახარალდნენ ჩვენი მავნებლური ძირგამომთხრელი მუშაობით. დივიზიისა და კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობები, სადაც ჩემი დავალებით მავნებლურ მუშაობას აწარმოებდნენ ჯემალ **ველურიძე** და სულეიმან **შავიშვილი**. ეს ორი კოლმეურნეობა ჩვენ მიერ მიყვანილი იქნა დაშლამდე. რადგან კოლმეურნეთა შემოსავლიანობა დაყვანილი იქნა მინიმუმამდე".

თამბაქოს კულტურის დარგში მავნებლობა მიმართული იყო აჭარის სოფლის მეურნეობიდან თამბაქოს კულტურის განდევნისაკენ და ტარდებოდა თამბაქოს დარგვის არარეალური გეგმების დაწესებით, თამბაქოს კულტურისათვის უვარგისი მიწების გამოყოფით, თამბაქოს ხშირი დარგვით, დაგვიანებული შეტეხვით, რითაც თამბაქო ჰკარგავდა ხარისხს, არასწორი დაფინანსებით, თამბაქოს სახმობების და საწყობების მშენებლობის გაფართოების შეფერხებით, თამბაქოს თესლის მავნებლურად განაწილებით.

ასე, მაგალითად, ბრალდებულმა ილიას მეგრელიძემ 1937 წლის/23 აგვისტოს დაკითხვაზე აჩვენა:

...„ 1935 წელს მთელ აჭარაში გვქონდა თამბაქოს გეგმა 600 ჰექტარი, გლეხობაში მასობრივი უკმაყოფილების გამოწვევის მიზნით ზექერია **ლორთქიფანიძემ** მიაღწია 1937 წელს თამბაქოს გეგმის გადიდებას, მის აყვანას ათას ჰექტარამდე.

ათასი ჰექტარი თამბაქოს გეგმა ჩვენ უნდა დაგვეყვანა მეთამბაქოებამდე არა უგვიანეს ოქტომბერ-ნოემბრისა. ჩვენ კი მავნებლობის მიზნით დავაგვიანეთ და გეგმა დაშვებულ იქნა მხოლოდ დეკემბრის თვეში. შედეგად ათვისებულ იქნა მხოლოდ 700 ჰექტარი.

თესლის განაწილებაში მავნებლობა გამოიხატებოდა მეთამბაქოებისათვის ისეთი ჯიშის თესლის მიცემით, რომელიც მოცემულ ნაკვეთებზე ვერ მოგვცემდა კარგ მაჩვენებლებს მოსავლიანობისა და ხარისხის მხრივ ცუდი ნიადაგისა და კლიმატური პირობების გამო.

ქედისა და ხულოს რაიონებში, საჭირო სამსუნის ჯიშის თესლის ნაცვლად, ჩვენ გავეცით ტრაპიზონის ჯიშის თესლი და პირიქით—რაც ამცირებდა მათ მოსავლიანობასა და ხარისხს.

შეგნებულად ვშლიდით თამბაქოს სახმობების მშენებლობას სტანდარტის მიხედვით, რითაც თამბაქოს გახმობა არ იყო უზრუნველყოფილი, რის შედეგად ადგილი ჰქონდა კარგი ხარისხის თამბაქოს დაკარგვას".

მეთამბაქოობის დარგში მავნებლობის საკითხზე ჩვენებას იძლევა ქედის კოლმეურნეობის ბრიგადირი ისმაილ **გათენაძე**:

„1936 წელს კონტრრევოლუციურმა ორგანიზაციამ მე მომცა დავალება მეწარმოებინა კოლმეურნეობაში მავნებლობა გეგმების შემცირებისა და თამბაქოს გაფუჭების გზით. ამის საფუძველზე მე ჩემი ბრიგადით განზრახ ვაფუჭებდი თამბაქოს და სრულიად მოუვლელი დავტოვე ნახევარი ჰექტარი, რომლის მოსავალი ჩავაბარეთ როგორც წუნი. კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრის **ბასილაძის** ბრიგადაში დალპა 40 ზონარამდე თამბაქო. მე და **ბასილაძე** ხშირად არ გამოვდიოდით სამუშაოზე".

მეცხოველეობის დარგში მავნებლობა მიმართული იყო პირუტყვის სულადობის შემცირებისაკენ და ხორციელდებოდა კოლმეურნეობებში მუშა-საქონლის განიავებით. სარძეო ფერმების დანგრევით, საძოვრების არასწორი განაწილებით, მათი ცუდი მოვლით და სასილოსე მშენებლობის ჩაშლის გზით საკვები ბაზისათვის ძირის გამოთხრით, პირუტყვის ცუდი მოვლით, საჯიშე პირუტყვის სულადობის გაზრდის ჩაშლით და ვეტერინარული მომსახურების არაუზრუნველყოფით.

ბრალდებულმა ზექერია **ლორთქიფანიძემ** 1937 წლის 9 აგვისტოს დაკითხვაზე აჩვენა:

„მეცხოველეობის ხაზით მავნებლობა ტარდებოდა საჯიშე პირუტყვის ცუდი გაზრდით და კოლმეურნეობებში მუშა-საქონლის დაკვლით. ასე, მაგალითად, ხულოს რაიონის მეცხოველეობის საჯიშე ფერმაში დაავადებული საჯიშე ძროხების საჭირო მკურნალობის ნაცვლად გადასცეს სოფელ დიოკნისის კოლმეურნეობას, სადაც ისინი არ იყვნენ უზრუნველყოფილნი მკურნალობით და ნაწილობრივ დაიღუპნენ.

1936 წელს ბათუმიდან ხულოში გაიგზავნა 50 ჯიშიანი მოზვერი. მათი უმრავლესობა დაიხოცა ცუდი მოვლის გამო.

ხულოს რაიმიწგანს პრაქტიკაში ჰქონდა ყალბი ცნობების გაცემა ვარგისი მუშა-საქონლის დაკვლის შესახებ, როგორც უვარგისისა, რამაც გამოიწვია 1935-36 წლებში ვარგისი მუშა-საქონლის მასობრივი დაკვლა"...

ბრალდებულმა სულეიმან **ბეჟანიძემ** 1937 წლის 16 აგვისტოს დაკითხვაზე აჩვენა:

„მეცხოველეობის დარგში მავნებლური მუშაობა გამოიხატებოდა შემდეგში: სუსტი ვეტმომსახურება, კარანტინის ვადის შემცირება, არა თავის დროზე აცრა, პროდუქტიული საჯიშე პირუტყვისათვის კვების ნორმების შემცირება, საკოლმეურნეო ფერმებში, მეცხოველეობის ფერმებისათვის საჭირო ზოოტექნიკური კადრების მომზადების ჩაშლა, საკვები ბაზის შემცირება და სილოსების გაფუჭება, მუშა-საქონლის განიავება. ასე, მაგალითად, სოფ. დიდი - აჭარის კოლმეურნეობაში განიავებულ იქნა 60 სული, სოფ. ვანაძეების კოლმეურნეობაში —80 სული, სოფ. ღურტის კოლმეურნეობაში კი — 20 სული"...

ამავე საკითხზე კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მონაწილემ ყადირ **ხოზრევანიძემ**, სოფ. დიდი-აჭარის კოლმეურნეობის ყოფ. თავმჯდომარემ, 1937 წლის 26 აგვისტოს დაკითხვაზე აჩვენა:

„1936 წელს სოფ. დიდი-აჭარის კოლმეურნეობას კონტრაქტაცია უნდა დაედო უძროხო კოლმეურნეებისათვის 16 დეკეულზე. ხულოს რაიაღმასკომის ყოფილი თავმჯდომარის, ხულოს რაიონში კონტრრევოლუციურ - მავნებლური ორგანიზაციის ხელმძღვანელის სულეიმან **ბეჟანიძის** მითითების თანახმად ეს მნიშვნელოვანი დავალება ჩაშლილ იქნა, დეკეულების კონტრაქტაცია სრულებით არ ტარდებოდა.

საკოლმეურნეო ფერმებისათვის დეკეულების შესაძენად სახელმწიფოს მიერ გაღებული იყო კრედიტები. მავნებლური მიზნებისათვის, ეს ფული კოლმეურნეობას არ მიაწოდეს და არ გამოუყენებიათ.

სულეიმან **ბეჟანიძისაგან** მიღებული მავნებლური დავალების თანახმად, კოლმეურნეობაში სრულებით არ ტარდებოდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მეტიზაცია და საკოლმეურნეო გამწევი ძალის რემონტი. დავრილების კამპანია 1936-37 წლებში ჩაიშალა, 1200 მანეთად შეძენილი ბუღა სრულებით არ გამოუყენებიათ".

რათა უსაკვებოდ დაეტოვებინა პირუტყვი, კონტრრევოლუციური ორგანიზაცია აფუჭებდა სასილოსე საკვებს და პირუტყვის საძოვრებს. ამ საკითხზე კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მონაწილე, ხულოს რაიაღმასკომის ყოფილი მიწათმოწყობი ალი **წულუკიძე** აჩვენებს:

„მე ვეწეოდი მავნებლურ მუშაობას სასილოსე ორმოების მოწყობისას ღორჯომის, აგარის, დიდი-აჭარის, რიყეთის და შუახევის სასოფლო საბჭოებში. აღნიშნულ სასოფლო საბჭოებში, ვატარებდი რა დასილოსებას, მე სასილოსე ორმოების გაკეთებისას, რომლებიც მაგრად დატკეპნას მოითხოვენ, ეს სამუშაო ჩავატარე არასაკმაო დატკეპნით, სუსტად ვტკეპნიდი. სასილოსე ორმოების ამოღებისა და დასილოსების შემდეგ მე მავნებლობის მიზნით განგებ ვტოვებდი ჰაერის შესასვლელს სილოსში, რის გამო მთელი საკვები დალპა"...

ბრალდებულმა სულეიმან **ბეჟანიძემ** 1937 წ. 15 აგვისტოს აჩვენა:

„ზაფხულის განმავლობაში საძოვრები გაწმენდილი უნდა იყოს მავნე ბალახებისაგან, რომ ამით თავიდან იქნას აცილებული პირუტყვის მოსალოდნელი დაავადება და დაღუპვა. მიღებული არ იყო საჭირო ზომები საძოვრების გაწმენდისათვის და მავნე ბალახების გავრცელებამ გამოიწვია პირუტყვის დაავადება. 1936-37 წლებში პირუტყვი სისხლიანს გადიოდა. ადგილი ჰქონდა სიკვდილიანობას და შემცირდა სარძეო პროდუქციის გამოსავლიანობა".

ხეხილისა და ტექნიკური კულტურების განვითარების ჩასაშლელად, კონტრრევოლუციური ორგანიზაცია ატარებდა მავნებლობას ნერგების მოსასპობად და გასაფუჭებლად.

კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრმა ნური **გამრეკელიძემ** 1937 წ. 14 აგვისტოს დაკითხვაზე აჩვენა:

„1936 წელს ზექერია **ლორთქიფანიძემ** საუბრის დროს მითხრა მე, რომ განზრახულია ხულოს რაიონში 1500 ძირი ხეხილის ნერგის შეზიდვა. ნერგების განადგურების მიზნით ზ. **ლორთქიფანიძემ** განაცხადა, რომ ნერგების შეტანას ის **ი. მეგრელიძის** მეშვეობით გააჩერებს რამდენიმე ხანს, ხოლო მე მიწგანის ხაზით ნერგები კიდევ უნდა გავაჩერო რამდენიმე ხანს გაუნაწილებლად. მართლაც, მიღებული 1500 ძირი ხეხილის ნერგიდან 150 ძირი ჩამოტანილი იქნა სრულიად გამხმარი და უვარგისი. დანარჩენი ნერგის განაწილება კოლმეურნეობებში ჩვენ მიერ შეჩერებულ იქნა, რის შედეგად შემოტანილი ნერგების ნახევარზე მეტმა არ გაიხარა.

აღნიშნულ ნერგისათვის კოლმეურნეებს გადავახდევინეთ ცალში ორ-ორი მანეთი".

მავნებლობის მიზნით კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრებმა მოაწყეს სათესლე ფონდების გაფუჭება.

ბრალდებულმა ოსმან **რომანაძემ** 1937 წ. 16 აგვისტოს დაკითხვაზე ამ საკითხის ირგვლივ აჩვენა:

„არტელში არსებული სიმინდის სათესლე ფონდი მე დავურიგე არტელის წევრებს შრომადღეებზე. ეს მე გავაკეთე მავნებლობის მიზნით, რომ დამეტოვებინა კოლმეურნეობა სათესლე ფონდის უქონლად. ათ ჰექტარზე მეტი მე დავთესე ჩახურებული, გაფუჭებული სიმინდით".

ბრალდებულმა სულეიმან **ბეჟანიძემ** 1937 წლის 15 აგვისტოს დაკითხვაზე აჩვენა:

„ჩემი დავალებით სოფ. ვანაძეების კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრმა ოსმან **ვანაძემ** გააფუჭა 400 ფუთი სათესლე ფონდის კარტოფილი. თესლის უქონლობის გამო თესვის გეგმა შესრულებულ იქნა 50 პროცენტით. სოფ. ალმეში კარტოფილის მთელი სათესლე ფონდი დატოვებულ იქნა მიწის საერთო შრომით დამმუშავებელ ამხანაგობის („ტოზის") წევრების ხელში, რის გამო კარტოფილის თესვის გეგმა შესრულებული იქნა მხოლოდ 30 პროცენტით.

სოფელ ღურტის კოლმეურნეობაში 400 ფუთი სათესლე კარტოფილი ხელზე დაურიგეთ კოლმეურნეებს"...

კონტრრევოლუციური ორგანიზაცია ატარებდა მავნებლობას სასოფლო მეურნეობის დაფინანსების დარგში.

ქიაზიმ **ბასილაძემ** 1937 წლის 23 აგვისტოს დაკითხვაზე აჩვენა:

„მე მქონდა დავალებული გამეტარებინა მავნებლობა სასოფლო-სამეურნეო ბანკის ხაზით კრედიტების გაცემის შეჩერების გზით. ზექერია **ლორთქიფანიძესთან** ერთად მიმდინარე წელს გავაჭიანურე წლიური დაკრედიტების გეგმის დამტკიცება და კოლმეურნეობებამდე დაყვანა. იანვარ-თებერვლის ნაცვლად დაკრედიტების გეგმა დავუშვით მაისში. ამით ჩვენ ვიწვევდით გაჭირვებას ფულის მხრივ და ვქმნიდით უკმაყოფილებას კოლმეურნეებში, რადგან საკრედიტო გეგმის დაგვიანება იწვევდა კრედიტების დაგვიანებასაც"...

„არსებული დებულების მიუხედავად, ჩვენი კონტრრევოლუციური საჯანყებო ორგანიზაციის კომიტეტის წევრი, „თამბაქნედლეულის" ყოფილი მმართველი ზექერია **ბერიძე**, ზექერია **ლორთქიფანიძის** თანხმობით, უჭერდა კოლმეურნეებს ძველ დავალიანებებს საწარმოო დანიშნულებისათვის გაცემული ავანსებიდან"...

აქტიურ კონტრრევოლუციურ მუშაობას ორგანიზაცია ეწეოდა საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში. მიზნად ისახავდა რა ინდივიდუალური კულაკური მეურნეობის განვითარებას, კონტრრევოლუციურ-საჯანყებო ორგანიზაცია ყოველმხრივ ცდილობდა სახელი გაეტეხა კოლმეურნეობებისათვის აჭარელი გლეხების თვალში, შეეფერხებინა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განვითარება, შეემცირებინა კოლმეურნეთა შემოსავლიანობა და დაენგრია კოლმეურნეობები.

ამ საკითხზე ბრალდებულმა ჯემალ **ქიქავამ** 1937 წლის 20 სექტემბრის დაკითხვაზე აჩვენა:

...„1935 წელს ჩვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილება მდგომარეობდა იმაში, რომ ჩვენს ხელმძღვანელ კომიტეტს უნდა მოეწყო მავნებლური ძირგამომთხრელი მუშაობა აჭარის კოლმეურნეობებში იმგვარად, რომ ძირითადი კულტურები კოლმეურნეობებში დაღუპულიყო, კოლმეურნეობების შემოსავალი მინიმუმამდე ყოფილიყო დაყვანილი. კოლმეურნეები გაღატაკებულიყვნენ და კოლმეურნეობები დანგრეულიყო"...

კონტრრევოლუციური ორგანიზაცია შლიდა სასოფლო-სამეურნეო კამპანიებს, აგვიანებდა თესვის ვადებს და ამრიგად ცდილობდა შეემცირებინა მოსავლიანობა.

კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრმა ნური **გამრეკელიძემ** 1937 წ. 14 აგვისტოს დაკითხვაზე აჩვენა:

„1936 წელს მიწგანის ხაზით ზექერია **ლორთქიფანიძისა** და ი. **მეგრელიძისაგან** მე მივიღე დავალება დამეგვიანებინა თესვა ხულოს რაიონის ზოგიერთ სასოფლო საბჭოში, რათა შემემცირებინა მოსავლიანობა. ეს დირექტივა ჩემ მიერ შესრულებულ იქნა. თესვა შევაჩერე ათი დღით სოფელ ღორჯომში, აგარაში, დანისპარაულში და რიყეთში"...

საკოლმეურნეო მშენებლობის განვითარების შეფერხების მიზნით კონტრრევოლუციურმა ორგანიზაციამ გასცა დავალება ჩაეშალათ მიწის საერთო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობების („ტოზების") გადასვლა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაზე უხეში ადმინისტრირების, სას.-სამ. არტელის სტალინური წესდების დამახინჯებისა და ყოველგვარი პროვოკაციული ხმების გავრცელების გზით.

ბრალდებულმა ზექერია **ლორთქიფანიძემ** 1937 წლის 25 აგვისტოს დაკითხვაზე აჩვენა:

...„მე მივეცი დავალება კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრებს ისმაილ **მეგრელიძეს**, სულეიმან **ბეჟანიძეს** და სხვებს ხულოს რაიონში ჩაეშალათ მიწის საერთო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობების („ტოზების") გადაყვანა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაზე. მე წინადადება მივეცი მათ მოეხდინათ ეს იმ გზით, რომ არ გაეწიათ მოსამზადებელი ახსნა-განმარტებითი მუშაობა, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების არასწორად, დამახინჯებულად განმარტებისა და გატარების გზით"...

...„მიმდინარე წლის გაზაფხულზე დაარსებული სასოფლო-სამეურნეო არტელების უმრავლესობა ჩვენი მავნებლური მუშაობის შედეგად დაშლილ იქნა"...

ამავე საკითხზე სულეიმან **ბეჟანიძემ** 1937 წლის 16 აგვისტოს დაკითხვაზე აჩვენა:

„...მივიღე რა დავალება ზექერია **ლორთქიფანიძისაგან** — ჩამეშალა ტოზების გადაყვანა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაზე, მე ილიას **მეგრელიძესთან**, სეიდ **გვარელოღლისთან** და ნური **გამრეკელიძესთან** ერთად მოკლე ვადაში ჩამოვაყალიბეთ 13 სასოფლო - სამეურნეო არტელი. აქედან 8 ახლად ჩამოყალიბებული არტელი მოგვიხდა დაგვეშალა, რადგან ისინი ჩვენ მოვაწყეთ ადმინისტრატიული წესით, წინასწარი მომზადების გარეშე, არ უზრუნველვყავით სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრები საკარმიდამო ნაკვეთებით. საკარმიდამო ნაკვეთები სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით გათვალისწინებული ¾ ჰექტარის ნაცვლად, ჩვენ გამოვუყავით კოლმეურნეობებს ¼ ჰექტარი. იმის ნაცვლად, რომ კოლმეურნეებისათვის საკარმიდამო მიწები გამოგვეყო კოლმეურნეთა სახლკართან ახლოს და ნაკლებ დაქუცმაცებული, ჩვენ განზრახ ვაძლევდით საკარმიდამო ნაკვეთებს შორეულ ადგილებში და პატარ-პატარა ნაჭრებად"...

ბრალდებულმა ოსმან **ვანაძემ** 1937 წლის 16 აგვისტოს დაკითხვაზე აჩვენა, რომ კონტრრევოლუციურ-საჯანყებო ორგანიზაციის დავალებით მის მიერ დანგრეულ იქნა ახლადჩამოყალიბებული სასოფლო-სამეურნეო არტელი ხულოს რაიონის სოფელ ვანაძეებში.

...„ამა წლის გაზაფხულზე ჩვენს სოფელში თვითონ გლეხების მოთხოვნით სასოფლო-სამეურნეო არტელის დაარსების შემდეგ სოფ. ვანაძეებში ჩამოვიდნენ ჩვენი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელები: რაიმიწგანის ყოფილი გამგე ნური **გამრეკელიძე და** საქ. კ. პ. (ბ) რაიკომის მდივნის ყოფ. მოადგილე სეიდ **გვარელოღლი**, რომლებშიაც აღშფოთება გამოიწვია გლეხების ასეთი ხალისით შესვლამ სას.-სამ. არტელში, და მათ წინადადება მომცეს გამომეცხადებინა გლეხებისათვის, რომ აჭარაში საკარმიდამო მიწების ნორმა დაწესებულია ნახევარი რაოდენობით, რათა ამ პროვოკაციით მოგვეხდინა არტელის დანგრევა.

მეორე დღეს მე მოვიწვიე კოლმეურნეების კრება და განვუცხადე მათ ეს, უმრავლესობამ განცხადება შემოიტანა არტელიდან გასვლის შესახებ და არტელი დაიშალა"...

საკარმიდამო ნაკვეთების მავნებლურად განაწილების საკითხის ირგვლივ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრმა ალი წულუკიძემ დაკითხვაზე აჩვენა:

...„კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ძირგამომთხრელი მუშაობა, რომელმაც სოფელ ვანაძეებში, აგარაში და ქედლებში კოლმეურნეობები დაშლამდე მიიყვანა, გამოიხატებოდა შემდეგში:

საკარმიდამო ნაკვეთის გამოყოფისას ყოველ მეურნეობას ეძლეოდა მიწის 3-4 ნაკვეთის ნაცვლად 10 და 11.

კოლმეურნეთა შორის მტრობის ჩამოსაგდებად და უკმაყოფილების გამოსაწვევად, საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფისას კოლმეურნეთა ნაწილს უნდა მიეღო მიწის კარგი ნაკვეთები, ნაწილს კი — ცუდი"...

კოლმეურნეობებში ძირგამომთხრელი მუშაობის ჩასატარებლად, კონტრრევოლუციურ - საჯანყებო ორგანიზაციის ხელმძღვანელნი კოლმეურნეობებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე აწინაურებდნენ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრებს, რომლებიც იკრებდნენ თავის გარშემო და ეყრდნობოდნენ თავიანთ მავნებლურ მუშაობაში ანტისაბჭოთა და კულაკურ ელემენტებს.

ბრალდებულმა სულეიმან **ბეჟანიძემ** 1937 წლის 16 აგვისტოს დაკითხვაზე აჩვენა:

„1936 წლის ოქტომბერში, როცა ზექერია **ლორთქიფანიძე** ხულოში იყო, მან მომცა წინადადება წამომეყენებინა ახლად დაარსებული სასოფლო-სამეურნეო არტელების თავმჯდომარეებად აუცილებლად ჩვენი კონტრრევოლუციური — საჯანყებო ორგანიზაციის წევრები და ანტისაბჭოურად განწყობილი პირები, რომლებიც ამ ნიადაგზე შემდეგში უნდა ჩაგვება ჩვენს კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში"...

ასე, მაგალითად, კონტრრევოლუციური ორგანიზაციის დავალებით, სოფ. ტოფალოღლების კოლმეურნეობის თავმჯდომარედ გაძვრა ამ საქმეზე ბრალდებული **ჩალ - ოღლი**, რომელმაც 1937 წლის 13 აგვისტოს დაკითხვაზე აჩვენა:

..."1936 წლის დასაწყისში ჩვენს სოფელში — ტოფალოღლებში ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა და მუედინ **სურმანიძემ** მომცა წინადადება შევსულიყავი კოლმეურნეობაში, რომ იგი შიგნიდან დამენგრია, ყოფილ სედაიმილეთლებზე და ანტისაბჭოთა ელემენტებზე დაყრდნობით.

ამ მიზნით მე შევედი კოლმეურნეობაში და წამოყენებულ ვიქენი მის თავმჯდომარედ. ვისარგებლე რა ჩემი მდგომარეობით, მე მივაღწიე იმას, რომ კოლმეურნეობაში მიიღეს ორი ყოფილი კულაკი და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილი ელემენტები, ისინი ჩავაბი კონტრრევოლუციურ - საჯანყებო ორგანიზაციაში და მათი საშუალებით ვეწეოდი მავნებლურ მუშაობას"...

ამავე საკითხზე ბრალდებულმა ხასან **ძნელაძემ** 1937 წლის 16 აგვისტოს დაკითხვაზე აჩვენა:

...„**ლორთქიფანიძისა** და **მოწყობილისაგან** მე მივიღე დავალება, რომ ორგანიზაციაში ჩამება კოლმეურნეობათა ის თავმჯდომარეები და ბრიგადირები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი, და მათი საშუალებით მეწარმოებინა მავნებლური მუშაობა კოლმეურნეობებში"...

კონტრრევოლუციურ - საჯანყებო ორგანიზაციამ არევ-დარევა შეიტანა კოლმეურნეობების მუშაობაში, აქეზებდა კოლმეურნეებს—დროზე არ გამოსულიყვნენ სამუშაოზე, არასწორად აწყობდა შრომის ორგანიზაციას ბრიგადებში, შლიდა ჩატარებულ სამუშაოს აღრიცხვას და სხვ.

ამ საკითხზე ბრალდებულმა ილიას **მეგრელიძემ** 1937 წლის 21 აგვისტოს დაკითხვაზე აჩვენა:

...„აღრიცხვა და ანგარიშგება მთელ რიგ კოლმეურნეობასა და მეცხოველეობის ფერმაში სრულებით არ ყოფილა, მაგალითად, სოფელ დიდ-აჭარაში, დანისპარაულში, რიყეთში, შუბანში, ვანაძეებში, ქობულეთის რაიონის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობაში და სხვ.

ამის შედეგად, ადგილი ჰქონდა შრომადღეების დაკარგვას, ავანსების გაცემის და წლიური შემოსავლის განაწილების დაგვიანებას, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად, ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში შეუძლებელი იყო ძროხების ფაქტიური წველადობის გამორკვევა.

ჩვენ არარაციონალურად ვიყენებდით სამუშაო ძალას კოლმეურნეობებში, ვაძლევდით რა კოლმეურნეობების გამგეობებს უფლებას შვებულებაში გაეშვათ კოლმეურნეები მინდვრის გაჩაღებული სამუშაოების დროს.

კოლმეურნეობებში მუდმივი ბრიგადებისა და რგოლების ჩამოყალიბების ჩაშლით და ხელოვნური დაბრკოლებების შექმნით ჩვენ ვამცირებდით შრომის ნაყოფიერებას.

ბრიგადების ჩამოყალიბების ჩაშლის შედეგად ქობულეთის რაიონში სიმინდის ყანები გაუთოხნავი დარჩა და დაიღუპა.

ბათუმის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ჩახურების გამო გაფუჭდა აღებული სიმინდი"...

ბრალდებულმა ოსმან **რომანაძემ** 1937 წლის 16 აგვისტოს დაკითხვაზე აჩვენა:

...„ ხასან **ძნელაძის** დავალებით და სხვადასხვა საბაბით მე კოლმეურნეობის წევრებს სამუშაოებზე დაგვიანებით ვუშვებდი, რის გამო კოლმეურნეები ვერ ასრულებდნენ ნორმებს.

ჩაის ფოთლის კრეფის დროს მე კოლმეურნეებს ვგზავნიდი ისეთ ნაკვეთებზე, სადაც ჩაის ფოთოლი არ იყო გაზრდილი, რის გამო ბრიგადა აცდენდა სამუშაო დროს"...

შლიდნენ რა აღრიცხვას კოლმეურნეობებში, კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მონაწილენი აგვიანებდნენ კოლმეურნეთა შემოსავლის განაწილებას, არევ-დარევა შეჰქონდათ მათში, რითაც უკმაყოფილებას ჰქმნიდნენ მათში.

ასე, მაგალითად, კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მონაწილემ ნური **გამრეკელიძემ** 1937 წ. 14 აგვისტოს დაკითხვაზე აჩვენა:

... „1937 წელს დაკვეთა შრომის წიგნაკებზე ხულოს რაიონისათვის მიცემული იყო იანვარში, შრომის წიგნაკები მიღებულ იქნა ივლისში და ისიც არასაკმაო რაოდენობით, რის შედეგად შრომადღეების აღრიცხვა არ სწარმოებდა საჭირო სიზუსტით, კოლმეურნეებმა არ იცოდნენ, თუ რამდენი შრომადღე გამოიმუშავეს და რას მიიღებდნენ ამაში, რის გამო უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ"...

კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მონაწილემ, სოფ. ნიგაზეულის კოლმეურნეობის ყოფილმა თავმჯდომარემ დემურალი **ხიმშიაშვილმა** 1937 წ. 26 აგვისტოს დაკითხვაზე აჩვენა:

...„ მავნებლობის მიზნით მე შეგნებულად დავაბნიე კოლმეურნეთა შრომადღეების აღრიცხვა, მინდოდა რა გამომეწვია მათში უკმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ იმის გამო, რომ მათ მთლიანად არ მიეცემა შემოსავალი ფაქტიურად გამომუშავებული შრომადღეების მიხედვით.

ასეთ მდგომარეობას ადგილი ჰქონდა კოლმეურნეების — ჰასან **სირაძის**, არონ **ხიმშიაშვილის** და დაუთ **ხიმშიაშვილის** მიმართ, რომლებმაც კოლმეურნეობის ნატურალური და ფულადი შემოსავლის განაწილებისას, იმის გამო, რომ მთლიანად ვერ მიიღეს მათ მიერ ფაქტიურად გამომუშავებულ შრომადღეებზე, შემოიტანეს განცხადება კოლმეურნეობიდან გასვლის შესახებ. გავაჭიანურეთ კოლმეურნეობის შემოსავლის, მოსავლისა და ფულის განაწილება. 1936 წლის შემოსავალი კოლმეურნეობაში საბოლოოდ განაწილდა 1937 წლის მარტში".

ყველა ამ მავნებლურ ღონისძიებით კონტრრევოლუციური - საჯანყებო ორგანიზაცია ცდილობდა შეემცირებინა შრომადღის ღირებულება და ამრიგად — კოლმეურნეთა შემოსავალი.

ამ საკითხზე ბრალდებულმა ილიას **მეგრელიძემ** 1937 წ. 21 აგვისტოს დაკითხვაზე აჩვენა:

...„ამ მავნებლური დირექტივების განხორციელების შედეგად ჩვენ მივაღწიეთ ზოგიერთ კოლმეურნეობაში შრომადღის ღირებულების საგრძნობ შემცირებას, მაგალითად გეურქოვის, კოსიორის სახელობის კოლმეურნეობაში, კოლმეურნეობა „მუშა და გლეხში" მთლიანად არ იყენებდნენ კოლმეურნეობების მუშახელს და მიმართავდნენ მუშების დაქირავებას, ხოლო დაქირავებული მუშების ხელფასის ანაზღაურება ხდებოდა ყოველგვარი ნორმის გარეშე"...

ეჟოვის სახელობის კოლმეურნეობის ყოფილმა თავმჯდომარემ, ბრალდებულმა **რომანაძემ** 1937 წ. 16 აგვისტოს დაკითხვაზე აჩვენა:

„ჩვენი კოლმეურნეობის კოლმეურნენი ვერ ასრულებდნენ ნორმას შრომის მავნებლური დეზორგანიზაციის გამო. მკრეფავები ვერ ასრულებდნენ ჩაის ფოთლის კრეფის არსებულ ნორმას — ათ კილოგრამს. ხშირად ჰკრეფდნენ 4-5 კილოგრამ ფოთოლს, რაც ამცირებდა შრომადღის ღირებულებას საშუალოდ 4 მანეთით".

კონტრრევოლუციურ - საჯანყებო ორგანიზაციის ყველა ხელმძღვანელნი, იმ მიზნით, რათა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ გლეხობაში უკმაყოფილება გამოეწვიათ, დაეკარგათ მათში რწმენა სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისადმი და შეექმნათ ანტისაკოლმეურნეო განწყობილება, ეწეოდნენ ანტისაბჭოთა და ანტისაკოლმეურნეო აგიტაციას და ავრცელებდნენ ყოველგვარ პროვოკაციულ ხმებს.

ბრალდებულმა ზექერია **ლორთქიფანიძემ** დაკითხვაზე 1937 წ. 22 აგვისტოს აჩვენა:

„რაიონული კონტრრევოლუციური ორგანიზაციების მეშვეობით ჩვენ ვავრცელებდით პროვოკაციულ ხმებს ომის მოახლოვებისა და ინტერვენტების მოსალოდნელი შემოსვლის შესახებ, რომელთა მოსვლისთანავე პირველ რიგში ამოწყვეტილი იქნებიან კოლმეურნენი. ამ ხმებს აჭარის სოფლებში ჩვენი დავალებით ავრცელებდნენ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრები - კულაკები, ხოჯები და ყოფილი აღალარები. ჩვენს მიერ გაწეული აგიტაციით, პროვოკაციული ხმების გავრცელებით და სხვ. ჩვენ ვცდილობდით შეგვექმნა აჭარის გლეხობაში მერყევი განწყობილება, რაც გავლენას მოახდენდა შრომის ნაყოფიერებაზე და შესაძლებელი იყო გამოგვეყენებინა კონტრრევოლუციური მიზნებისათვის".

ბრალდებულმა **ვანაძემ** 1937 წლის 16 აგვისტოს აჩვენა:

„ვიყავი რა კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სულეიმან **ბეჟანიძის** დავალებით მე ვეწეოდი ანტისაკოლმეურნეო აგიტაციას, ვარწმუნებდი კოლმეურნეებს, რომ საზიანო და არახელსაყრელია კოლმეურნეობებში ყოფნა და ვაქეზებდი მათ — დაეტოვებინათ კოლმეურნეობა".

იმისათვის, რომ მშრომელ გლეხობაში ხელოვნურად გამოეწვიათ უკმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელები აბუჩად იგდებდნენ გლეხებს და ფეხქვეშ სთელავდნენ მათს კანონიერ უფლებებს: გადაჭარბებულად ბეგრავდნენ გადასახადებით და შრომის ბეგარით, ართმევდნენ სარწყავი წყლებითა და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებით სარგებლობის საშუალებას, უსულგულოდ ეპყრობოდნენ მათს საჩივრებს და განცხადებებს.

ასე, მაგალითად, ბრალდებულმა ილიას **მეგრელიძემ** ამა წლის 21 აგვისტოს დაკითხვაზე აჩვენა:

„1936 წელს ზექერია **ლორთქიფანიძემ** თავისი სიმამრის, ჩვენი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის აქტიური მონაწილის, კულაკის და ყოფილი აღალარის ოსმან **დავითაძის** დაჟინებით შეაჩერებინა სოფელ ჯაბნიძეებში იმ სარწყავი არხის გაყვანის სამუშაოები, რომელიც გლეხებს ორი წლის განმავლობაში საკუთარი ძალებით გაჰყავდათ ასი ჰექტარი სათესი ფართობის მოსარწყავად. ამრიგად გლეხების ელემენტარული და სასიცოცხლო ინტერესები გათელილ იქნა ჩვენს მიერ".

ბრალდებულმა **ბასილაძემ** ა.-წ. 23 აგვისტოს დაკითხვაზე აჩვენა:

„ვსარგებლობდით რა თანამდებობრივი მდგომარეობით, ვამახინჯებდით საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებს გლეხების საზიანოდ. ასე, მაგალითად, 1937 წლის დასაწყისში ზექერია **ლორთქიფანიძემ** გლეხობაში უკმაყოფილების გამოწვევის მიზნით დაავალა რაიაღმასკომებს შეემცირებინათ ადგილობრივი მნიშვნელობის გლეხური სარგებლობის ტყეები და გაედიდებინათ შრომის ბეგარის ნორმები".

კონტრრევოლუციური ორგანიზაციის აქტიურმა მონაწილემ, ხულოს რაიონის უჩანბის სასოფლო საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ სულეიმან **ბერიძემ** აჩვენა:

„ზექერია **ლორთქიფანიძის** დირექტივების თანახმად 1936 წელს მე დავამახინჯე საგადასახადო პოლიტიკა კოლმეურნეების ზედმეტი და ერთპიროვნულ მეურნეების ნაკლებად დაბეგვრით. გადასახადების აკრეფის დროს უკანონოდ ვატარებდი მასობრივ დაჯარიმებას, არ ვაქცევდი ყურადღებას კოლმეურნეთა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა საჩივრებს"...

კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელნი სდევნიდნენ აქტიურ კოლმეურნეებს, რომლებიც კოლმეურნეობის განსამტკიცებლად იბრძოდნენ.

ასე, მაგალითად, ბრალდებულმა ოსმან **ვანაძემ** 1937 წლის 12 სექტემბრის დაკითხვაზე აჩვენა:

„მიმდინარე წლის გაზაფხულზე **ბეჟანიძემ** დამავალა მე კოლმეურნეობის ჩასაშლელად და უკმაყოფილების გამოსაწვევად გამერიცხა კოლმეურნეობიდან საუკეთესო კოლმეურნეები — დამკვრელები.

ვასრულებდი რა **ბეჟანიძის** ამ დავალებას, ადმინისტრირების წესით კოლმეურნეობიდან საერთო კრების დაუდასტურებლად გავრიცხე ყადირ **ვანაძე** და უსუფ **ბერიძე**, რომლებიც სამაგალითო კოლმეურნეებად ითვლებოდნენ"...

ზემოთაღნიშნულის გამო **ბრალდებიან:**

1. ზექერია დურსუნის-ძე **ლორთქიფანიძეს**, დაბადებული 1892 წ. ხულოს რაიონის სოფ. მოფრინეთში, სსრ კავშირის მოქალაქე, ცოლშვილიანი, დაბალი განათლებით, საკ. კ.პ. (ბ) ყოფილი წევრი, გარიცხული 1937 წელს დაპატიმრებასთან დაკავშირებით, წინათ სამართალში არ ყოფილა, დაპატიმრებამდე აჭარის ცაკის თავმჯდომარე.

იმაში, რომ:

ა) 1933 წელს შეჰქმნა და დაპატიმრების დღემდე ხელმძღვანელობდა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციას, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას აჭარაში და აჭარის ჩამოშორებას სსრ კავშირისაგან;

ბ) 1928 წლიდან კავშირში იყო უცხოეთის ერთერთი სახელმწიფოს დაზვერვასთან და ჯაშუშურ მუშაობას ეწეოდა. კავშირი ჰქონდა საზღვარგარეთელ კონტრრევოლუციურ ემიგრანტთა ორგანიზაციებთან;

გ) ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო მავნებლობისა აჭარის სახალხო მეურნეობაში.

უღალატა ამრიგად სამშობლოს. ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 ა, 58-2, 58-6, 58-8, 58-9 და 58-11 მუხლებით.

2. ჯემალ მაჰმუდის-ძე **ქიქავას**, დაბ. 1895 წ. ქ. ბათუმის მცხოვრები, სსრ კავშირის მოქალაქე, საკ. კ. პ. (ბ) წევრობის ყოფილი კანდიდატი, გარიცხული 1937 წ. დაპატიმრებასთან დაკავშირებით, ცოლშვილიანი, საშუალო განათლებით, წინათ სამართალში არ ყოფილა, დაპატიმრებამდე აჭარვაჭრობის თავმჯდომარე.

იმაში, რომ:

ა) იყო ერთერთი ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე კონტრრევოლუციური ჯაშუშურ - საჯანყებო ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას აჭარაში და აჭარის ჩამოშორებას სსრ კავშირისაგან;

ბ) 1928 წლიდან დაპატიმრებამდე დაკავშირებული იყო უცხოეთის ერთერთ დაზვერვასთან და ეწეოდა ჯაშუშურ მუშაობას;

გ) იყო ერთერთი ხელმძღვანელი მავნებლობისა აჭარის სახალხო მეურნეობაში და უშუალოდ ეწეოდა მავნებლობას სახელმწიფო ვაჭრობის დარგში.

უღალატა ამრიგად სამშობლოს, ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 ა, 58-2, 58-6, 58-8, 58-9 და 58-11 მუხლებით.

3. გიორგი ერასტის-ძე **რამიშვილს**, დაბადებულს 1888 წ. სსრკ-ს მოქალაქე, საკ. კ. პ. (ბ)

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარის კონტრრევოლუციური საჯანყებო, ჯაშუშურ-ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის მონაწილეთა პროცესი

საბრალდებო დასკვნა

(დასასრული)

ყოფ. წევრი, გარიცხულია 1937 წელს დაპატიმრებასთან დაკავშირებით, ცოლშვილიანი, საშუალო განათლებით, აჭარის ცაკის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, დაპატიმრებამდე საქართველოს სს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სახკომი,—

იმაში, რომ:

ა) იყო მონაწილე კონტრრევოლუციური ტროცკისტული ტერორისტული ორგანიზაციისა, რომელმაც 1934 წლის პირველ დეკემბერს განახორციელა სსრკ ცაკის პრეზიდიუმის წევრის სერგეი მირონის-ძე კიროვის ვერაგული მკვლელობა და შემდგომ წლებში (1934-1937) ამზადებდა ტერორისტულ აქტებს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ, ხოლო 1934 წლიდან მეთაურობდა და ხელმძღვანელობდა კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ ორგანიზაციას აჭარაში. აწარმოებდა კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ ორგანიზაციაში წევრების მიზიდვას;

ბ) 1935 წ. კავშირი დაამყარა კონტრრევოლუციურ ჯაშუშურ საჯანყებო ორგანიზაციასთან, რომელიც მიზნად ისახავდა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და სსრ კავშირისაგან აჭარის ჩამოშორებას;

გ) იყო მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში მავნებლობის ერთერთი ხელმძღვანელი;

დ) ჯაშუშურ კავშირში იყო უცხოეთის ერთერთ დაზვერვასთან, —

უღალატა ამრიგად სამშობლოს, ჩაიდინა რა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 ა, 58-2, 58,6, 58-8, 58-9 და 58-11 მუხლებით.

4. ილიას ისმაილის-ძე **მეგრელიძეს**, დაბ. 1903 წ. ქობულეთის რაიონის სოფ. ქაქუთში, სსრ კავშირის მოქალაქე, მოსამსახურე, ცოლშვილიანი, უმაღლესი განათლებით, საქ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი, გარიცხულია 1937 წ. დაპატიმრებასთან დაკავშირებით, „ახალგაზრდა მარქსისტების" ორგანიზაციის ყოფილი წევრი. 1922 წ. იყო დაპატიმრებული კონტრრევოლუციური მოქმედებისათვის. დაპატიმრებამდე აჭარის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი,—

იმაში, რომ:

ა) 1935 წლიდან აქტიური წევრი იყო კონტრრევოლუციური ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას აჭარაში და აჭარის ჩამოშორებას სსრ კავშირისაგან, ამავე დროს აქტიური მონაწილე იყო კონტრრევოლუციური ტროცკისტული ორგანიზაცისა, რომელმაც 1934 წ. პირველ დეკემბერს განახორციელა სსრკ ცაკის პრეზიდიუმის წევრის სერგეი მირონის-ძე კიროვის ვერაგული მკვლელობა და შემდეგ წლებში (1934-1937) ამზადებდა ტერორისტულ აქტებს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ;

ბ) მეთაურობდა და აწყობდა მავნებლობას აჭარის სოფლის მეურნეობაში სუბტროპიკულ და ტექნიკურ კულტურათა და მეცხოველეობის განვითარების ჩაშლის და კოლმეურნეობათა დანგრევის გზით;

გ) 1936 წელს შეადგინა და ზ. ლორთქიფანიძის მეშვეობით გადასცა უცხოეთის ერთერთ დაზვერვას ჯაშუშური ცნობები, — **უღალატა ამრიგად სამშობლოს, ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 ა, 58-2, 58-6, 58-8, 58-9 და 58-11 მუხლებით.**

5. გრიგოლ ერმალოს-ძე **ლაღიძეს**, დაბ. 1887 წ. ქუთაისის რაიონის სოფ. გოდოგანში, სსრკ-ის მოქალაქე, ცოლშვილიანი, უმაღლესი განათლებით, 1904 წლიდან სოც-ფედერალისტური პარტიის წევრი, კონტრრევოლუციური მოქმედებისათვის დაპატიმრებული იყო 1921-22 და 1924 წლებში. დაპატიმრებამდე დამცველთა კოლეგიის წევრი,—

იმაში, რომ:

ა) 1935 წელს დააარსა და დაპატიმრებამდე ხელმძღვანელობდა კონტრრევოლუციურ ფაშისტურ ორგანიზაციას, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას შეიარაღებული აჯანყების გზით;

ბ) 1936 წლის დასაწყისიდან კავშირი დაამყარა აჭარის კონტრრევოლუციურ ჯაშუშურ-საჯანყებო ორგანიზაციასთან, აგრეთვე ტროცკისტულ-ტერორისტულ და მენშევიკურ ორგანიზაციებთან და მათთან ერთად აწარმოებდა შეიარაღებული აჯანყების მოწყობას,—**უღალატა ამრიგად სამშობლოს,— ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 ა, 58-2, 58-8, 58-9 და 58-11 მუხლებით.**

6. ქიაზიმ ხასანის-ძე **ბასილაძეს**, დაბ. 1903 წელს სოფ. ქედაში, ქ. ბათუმის მუდმივი მცხოვრები, სსრკ-ს მოქალაქე, საქ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი, გარიცხულია, 1937 წ. დაპატიმრებასთან დაკავშირებით, ცოლშვილიანი, საშუალო განათლებით, დაპატიმრებამდე სასოფლო-სამეურნეო ბანკის მმართველი,—

იმაში, რომ:

ა) 1933 წლიდან აქტიური მონაწილე იყო კონტრრევოლუციური ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამხობასა და აჭარის ჩამოშორებას სსრ კავშირისაგან;

ბ) 1935 წლიდან კავშირში იყო უცხოეთის ერთერთ დაზვერვასთან'

გ) ატარებდა მავნებლობას კოლმეურნეობების დაფინანსების დარგში,—

უღალატა ამრიგად სამშობლოს —ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 ა, 58-2, 58-6, 58-8, 58-9, და 58-11 მუხლებით.

7. სულეიმან უსუფის-ძე **ბეჟანიძეს** დაბ. 1909 წელს ხულოს რაიონის სოფ. მოფრინეთში, სსრკ-ს მოქალაქე, საშუალო განათლებით, წინათ სამართალში არ ყოფილა, დაპატიმრებამდე ხულოს რაიაღმასკომის თავმჯდომარე, საქ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი, გაირიცხა 1937 წელს დაპატიმრებასთან, დაკავშირებით, —

იმაში, რომ:

ა) იყო აქტიური მონაწილე კონტრრევოლუციური ჯაშუშური-საჯანყებო ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას აჭარაში და აჭარის ჩამოშორებას სსრ კავშირისაგან;

ბ) იყო ხელმძღვანელი კონტრრევოლუციური ორგანიზაციისა ხულოს რაიონში, აწარმოებდა წევრების ჩაბმას კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში, ამზადებდა რაზმებს აჯანყების მოწყობისათვის;

გ) ხელმძღვანელობდა მავნებლურ მუშაობას ხულოს რაიონში,—

უღალატა ამრიგად სამშობლოს —ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 ა, 58-2, 58-9 და 58-11 მუხლებით.

8. ხასან უსუფის-ძე **ძნელაძეს**, დაბ. 1905 წელს ბათუმის რაიონის სოფ. ორთაბათუმში, სსრკ-ს მოქალაქე, საშუალო განათლებით, სამართალში არ ყოფილა, საქ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი, გარიცხულია 1937 წ. დაპატიმრებასთან დაკავშირებით. დაპატიმრებამდე ქობულეთის რაიკომის მდივნის მოადგილე,—

იმაში, რომ:

ა) იყო აქტიური მონაწილე კონტრრევოლუციური საჯანყებო ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას აჭარაში და აჭარის ჩამოშორებას სსრ კავშირისაგან;

ბ) 1936 წლის მარტიდან იყო ქობულეთის ,რაიონული კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელი, მეთაურობდა მავნებლობას კოლმეურნეობებში ქობულეთის რაიონში,—**უღალატა ამრიგად სამშობლოს,—ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 ა, 58-2, 58-9 და 58-11 მუხლებით.**

9. ხასან ხალიფის-ძე **ჩალ-ოღლის**, დაბ. 1892 წელს ხულოს რაიონში, სსრკ-ს მოქალაქე, დაბალი განათლებით, ცოლშვილიანი, წინათ არ ყოფილა სამართალში, დაპატიმრებამდე კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბათუმის რაიონის სოფ. თოფალოღლებში,—

იმაში, რომ:

ა) იყო აქტიური მონაწილე კონტრრევოლუციური ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას აჭარაში და აჭარის ჩამოშორებას სსრ კავშირისაგან;

ბ) კონტრრევოლუციური ორგანიზაციის დავალებით შევიდა კოლმეურნეობაში მისი ჩაშლის მიზნით და **აწარმოებდა ძირგამომთხრელ მავნებლურ მუშაობას,—ე. ი. ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58,2, 58-9 და 58--11 მუხლებით.**

10. ოსმან რეჯების-ძე **რომანაძეს**, დაბ. 1904 წელს ქობულეთის რაიონის სოფ. წყავროკაში, წერა-კითხვის მცირემცოდნე, საქ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი, გარიცხული დაპატიმრებასთან დაკავშირებით, დაპატიმრებამდე სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარე, მოხსნილია სასოფლო-სამეურნეო არტელის ჩაშლისა და მავნებლობისათვის და მსჯავრდადებულია ერთი წლის იძულებითი მუშაობით,—

იმაში, რომ:

ა) იყო აქტიური მონაწილე კონტრრევოლუციური ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას აჭარაში და აჭარის ჩამოშორებას სსრ კავშირისაგან;

ბ) იყო რა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, კონტრრევოლუციური ორგანიზაციის დავალებით აწარმოებდა კოლმეურნეობაში მავნებლურ მუშაობას,—**ე. ი. ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-2, 58-9 და 58-11 მუხლებით.**

11. ოსმან თერგუანის-ძე **ვანაძეს**, დაბ. 1911 წელს ხულოს რაიონის სოფ. ვანაძეებში, სსრკ-ს მოქალაქე, დაბალი განათლებით, ალკკ ყოფილი წევრი, გარიცხულია დაპატიმრებასთან დაკავშირებით,

იმაში, რომ:

ა) იყო აქტიური მონაწილე კონტრრევოლუციურ ჯაშუშურ-საჯანყებო ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას აჭარაში და აჭარის ჩამოშორებას სსრ კავშირისაგან;

ბ) იყო რა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, კონტრრევოლუციური ორგანიზაციის დავალებით ატარებდა კოლმეურნეობაში მავნებლურ მუშაობას, **ე. ი. ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-2, 58-9 და 58-11 მუხლებით.**

აჭარის ასს რესპუბლიკის პროკურორი **ი. კაპანაძე**

ქ. ბათუმი.
1937 წლ. 22 სექტემბერი.

პირველი სხდომა

ბრალდებულ ზ. დ. ლორთქიფანიძის დაკითხვა

კონტრრევოლუციურ — საჯანყებო, ჯაშუშურ — მავნებლური და დივერსიულ — ტერორისტული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა და დამაარსებელმა ზექერია ლორთქიფანიძემ საბრალდებო დასკვნის მიხედვით წარდგენილ ბრალდებებში თავი დამნაშავედ სცნო.

თავმჯდომარე — ბრალდებულო ლორთქიფანიძე, მოახსენეთ სასამართლოს: როდის ჩაებით კონტრრევოლუციურ - დივერსიული ორგანიზაციის მუშაობაში და რას ისახავდით მიზნად?

ლორთქიფანიძე — 1928 წლიდან კავშირი მქონდა უცხოეთის ერთერთი სახელმწიფოს დაზვერვის წარმომადგენელთან და აქედან იწყება ჩემი მოღალატური მუშაობა. 1933 წელს, ამავე დაზვერვის წარმომადგენლის დავალებით ბათუმში ჩამოვაყალიბე კონტრრევოლუციურ — მავნებლური და დივერსიულ — ჯაშუშური ორგანიზაცია, რომელიც აჭარაში კონტრრევოლუციურ—დამანგრეველ მუშაობას ეწეოდა. ამ ორგანიზაციის მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და კაპიტალიზმის რესტავრაცია. ჩვენ კავშირი გვქონდა აჭარიდან გადახვეწილ ხოჯებთან, ბეგებთან, აღალარებთან და მოლებთან. თვით აქ, აჭარაში კი მჭიდრო კავშირში ვიყავით ყოფილ ბეგებთან, კულაკებთან, ყოფილ ვაჭრებთან და საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულ ელემენტებთან, რომლებიც ჩვენი წაქეზებით ეწეოდნენ კონტრრევოლუციურ — პროვოკაციულ მუშაობას, ავრცელებდნენ ხმებს, მალე ომი იქნებაო და ძირს უთხრიდნენ კოლმეურნეობებს. მათთვის ხელმძღვანელობის გასაწევად შექმნილი იყო ცალკე შტაბი, რომელსაც მეთაურობდა ალი-ბალეოღლი. ამ უკანასკნელს ჩვენს მიერ დავალებული ჰქონდა შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელობა.

1934 წელს ბათუმში ჩამოვიდნენ ქურდაძე და სერებრიაკოვი. მათ გავაცანი ჩვენი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მუშაობა, აგრეთვე ჩვენი კავშირი უცხოეთის ერთერთი სახელმწიფოს დაზვერვასთან. მათ ჩვენი ეს საქმიანობა მოიწონეს და ყოველგვარი დახმარება აღგვითქვეს. ჩვენი ორგანიზაცია, ქურდაძისა, სერებრიაკოვისა, თენგიზ ჟღენტისა და სხვ. მითითებებისა და დახმარების შედეგად, კიდევ უფრო განმტკიცდა. ამ ორგანიზაციაში ჩავაბით ახალი წევრები, სულ 11 კაცი. ესენი ქალაქად და უმთავრესად სოფლად, კოლმეურნეობებსა და სკოლებში ეწეოდნენ მავნებლობას: ამახინჯებდნენ საგადასახადო პოლიტიკას, არევ-დარევა შეჰქონდათ კოლმეურნეობებში და სხვ., რითაც იწვევდნენ მშრომელთა უკმაყოფილებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

უცხოეთის ერთერთი სახელმწიფოს დაზვერვის წარმომადგენელმა ჩვენ მიგვითითა, რომ კონტრრევოლუციურ — დივერსიული მუშაობა სათანადოდ ვერ გავშალეთ, და აუცილებლად სცნო შეგვექმნა ბლოკი ანტისაბჭოთა პარტიების ნაშთებთან. ეს საკითხი განვიხილეთ და შევკარით ბლოკი — ფაშისტებთან, მენშევიკებთან და სხვებთან. კონტრრევოლუციური ბლოკის ცენტრი მოვაწყეთ 1936 წლის მარტში. ბლოკის ცენტრში შედიოდნენ:

აჭარის კონტრრევოლუციური კომიტეტიდან—მე, ჯემალ ქიქავა, ზექერია ბერიძე და სხვ.;

კონტრრევოლუციონერ ტროცკისტებიდან — გიორგი რამიშვილი, ი. სურგულაძე და პ. ცხოიძე;

ფაშისტებიდან—გრიგოლ **ლაღიძე**; მენშევიკებიდან — კალე გოგიბერიძე, პ. საბაშვილი და გ. კოპლატაძე.

წინასწარ მოველაპარაკე ყველა აქ ჩამოთვლილ პირებს და შემდეგ მოვიწვიე ბლოკის გაერთიანებული თათბირი. თათბირი გაიმართა ჩემს ბინაზე.

ტროცკისტებს დავავალეთ ტერორისტული აქტების მოწყობა.

ამ თათბირის შემდეგ მუშაობა კიდევ უფრო გავაცხოველეთ: გავგზავნეთ ჩვენი ორგანიზაციის წევრები რაიონებში და დავავალეთ მათ ჩაებათ ჩვენს ორგანიზაციაში საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი ელემენტები, ყოფილი კულაკები და სისხლის სამართლის დამნაშავენი.

ჩვენ ჩავატარეთ შემდეგი მავნებლური საქმიანობა: კოლმეურნეობებს მოუსავლიან მიწებს ვაძლევდით, მიმდინარე წლის გაზაფხულზე დაარსებული სასოფლო - სამეურნეო არტელების უმრავლესობა დავშალეთ. გარდა ამისა, კოლმეურნეებს არასწორად ვუწერდით შრომა-დღეებს და ამით მასებში უკმაყოფილებას ვიწვევდით. ძალზე ვაფერხებდით აგრეთვე მესაქონლეობის განვითარებას. მეცხოველეობის ხაზით მავნებლობა ტარდებოდა საჯიშე პირუტყვის ცუდი გაზრდით, მუშა-საქონლის დაკვლით და განადგურებით. ხულოში 50 ჯიშიანი მოზვერიდან ორი-სამის მეტი არ გადარჩენილა. ხელოვნურად ვაავადმყოფებდით საქონელს და სხვ.

ხულოში ამ მავნებლობას ხელმძღვანელობდნენ ბეჟანიძე, გამრეკელიძე, მეგრელიძე; ქედაში—ბასილაძე, ძნელაძე; ქობულეთში — ოსმან მოწყობილი და სხვ. ამ მავნებლობით გამოწვეული უკმაყოფილება საშუალებას გვაძლევდა ახალი წევრები ჩაგვება ორგანიზაციის მუშაობაში.

თავმჯდომარე — დაასახელეთ ის მთავრობა, რომლის პრეზიდენტი და მინისტრები წინასწარ გამოჰყავით!

ლორთქიფანიძე — კონტრრევოლუციურ — საჯანყებო კომიტეტის სხდომაზე გამოვყავით მთავრობა, რომლის პრეზიდენტადაც მე ვიყავი დასახელებული.

თავმჯდომარე — ბრალდებულო ლორთქიფანიძე, მოახსენეთ სასამართლოს, ქვეყნად არარსებულ ამ „მთავრობის" წევრები როგორ მიმართავდით ერთმანეთს, ხომ არ ხმარობდით ასეთ გამოთქმას — „ბატონო პრეზიდენტო", ან „ბატონო მინისტრო".

ლორთქიფანიძე — ჯერჯერობით ერთმანეთს შორის ასეთ გამოთქმებს არ ვხმარობდით, ხოლო, როცა ჩვენი დრო დადგებოდა, მაშინ ასეც მივმართავდით ერთმანეთს.

თავმჯდომარე—დაასახელეთ თქვენი „მთავრობის" შემადგენლობა.

ლორთქიფანიძე — მე დასახელებული ვიყავი პრეზიდენტად, ჩემს მოადგილედ — ოსმან მოწყობილი, იგივე განათლების მინისტრი; ჯემალ ქიქავა — საგარეო საქმეთა მინისტრი, ოსმან კონცელაძე—ჯანმრთელობის მინისტრი, სულეიმან ზაქარიაძე — ფინანსთა მინისტრი, ალი-გვარელოღლი შინაგან საქმეთა მინისტრი და ქიაზიმ ბასილაძე—სამხედრო მინისტრი.

თავმჯდომარე — როგორ ატარებდით მავნებლობას?

ლორთქიფანიძე — მე დავავალე მიწსახკომს ჩამოეყალიბებინა „ტოზებიდან" კოლმეურნეობები, არ შეეწყო მათთვის ხელი და დაეშალა ისინი. ხულოში ჩემი უშუალო დავალებით 8 კოლმეურნეობა დაიშალეს.

თავმჯდომარე — ვისთვის გინდოდათ მიწის გადაცემა?

ლორთქიფანიძე — ჩვენს მიზანს შეადგენდა — ჩამოგვერთმია გლეხებისათვის ის მიწები, რომლებიც მათ საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა, გადაგვეცა ბეგებისა და ხოჯებისათვის და აღგვედგინა ამ უკანასკნელთა უფლებები.

თავმჯდომარე — რა მავნებლობა გაატარეთ მეთამბაქოობის დარგში?

ლორთქიფანიძე — თამბაქოს მოსავლიანობის შემცირების მიზნით ვაგვიანებდი კოლმეურნეობებისათვის კრედიტების მიცემას. 1935 წელს მთელ აჭარაში გვქონდა თამბაქოს გეგმა 600 ჰექტარი, მაგრამ, გლეხობაში მასობრივი უკმაყოფილების გამოწვევის მიზნით მიმდინარე წელს მე იგი გადიდებული დავიყვანე მეთამბაქოეებამდე და ხელოვნურად ჩავშალე მისი შესრულება. გარდა ამისა, თამბაქოს თესვასაც მავნებლურად ვაწარმოებდით. მეთამბაქოეებს ისეთ თესლს ვაძლევდით, რომელიც მოცემულ ნაკვეთზე ვერ იხარებდა. შეგნებულად ჩავშალეთ თამბაქოს საშრობების მშენებლობა, რის გამო თამბაქო გაუშრობელი დარჩა და ხარისხი დაჰკარგა.

თავმჯდომარე — როდის გაიცანით ცნობილი ტროცკისტი სერებრიაკოვი?

ლორთქიფანიძე — მე და ჯემალ ქიქავამ გავიცანით მოსკოვში. შემდეგ ის და ქურდაძე ჩამოვიდნენ აჭარაში. სერებრიაკოვმა ქურდაძის საშუალებით იცოდა, რომ ჩვენ გვქონდა კონტრრევოლუციურ-მავნებლური ორგანიზაცია. მან მოიწონა აჭარელ მავნებელთა მუშაობა და მოგვცა მთელი რიგი მითითებანი, რათა უფრო გაგვეძლიერებინა ანტისაბჭოთა საქმიანობა. შემდეგ თენგიზ ჟღენტიც ჩამოვიდა ბათუმში და გადმომცა — გერმანე მგალობლიშვილი დაწვრილებით გაეცნო აჭარის კონტრრევოლუციური ჯაშუშური ორგანიზაციის მუშაობას და მითხრა, თქვენ უნდა იმუშაოთ საქართველოს კონტრრევოლუციური ტერორისტული ცენტრის მითითებებით. აჯანყება უნდა მოახდინოთ ამ ცენტრის დირექტივით საქართველოს სხვა რაიონებთან ერთად.

თავმჯდომარე — ბრალდებულო ლორთქიფანიძე, მოახსენეთ სასამართლოს, თქვენი კონტრრევოლუციურ - მავნებლური მუშაობა 1928 წლიდან იწყება თუ 1933 წლიდან.

ლორთქიფანიძე — უფრო 1933 წლიდან, თუმცა 1928 წელს მე გავაბი მჭიდრო კავშირი უცხოეთის ერთერთი სახელმწიფოს დაზვერვასთან და შემდეგ ვემსახურებოდი მას.

ამხ. კაპანაძე (სახელმწიფო ბრალმდებელი)—როდის ჩამოყალიბდა და გაფორმდა თქვენი კონტრრევოლუციურ - ჯაშუშური ორგანიზაცია?

ლორთქიფანიძე — 1933 წლის აგვისტოში.

კაპანაძე — ვის დაებადა ამ ორგანიზაციის დაარსების აზრი.

ლორთქიფანიძე — მე წინასწარ სათითაოდ მოველაპარაკე ბასილაძეს, ბეჟანიძეს, რომანაძეს და სხვ., დავითანხმე ისინი და შემდეგ გაერთიანებული თათბირიც მოვიწვიეთ. ჯემალ ქიქავაც აქტიურად მეხმარებოდა. მან იცოდა, რომ მე უცხოეთის ერთერთი სახელმწიფოს დაზვერვასთან მქონდა კავშირი. ისიც მუშაობდა ამ დაზვერვაში.

კაპანაძე — თათბირი სად მოიწვიეთ?

ლორთქიფანიძე — ჩემს სახლში. თათბირს ესწრებოდა ყველა დღევანდელი ბრალდებული.

კაპანაძე — როგორი იყო თქვენი კონტრრევოლუციურ - ჯაშუშური ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები?

ლორთქიფანიძე — საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და ძველი კაპიტალისტური წესწყობილების აღდგენა, აჭარის გადაქცევა ერთერთი კაპიტალისტური სახელმწიფოს კოლონიად.

კაპანაძე — ვის ეყრდნობოდა თქვენი ჯაშუშურ - დივერსიული ორგანიზაცია?..

ლორთქიფანიძე — ანტისაბჭოთა ელემენტებს, ხოჯებს, მოლებს, კულაკებს, საზღვარგარეთელ ემიგრანტებს, რომელნიც აჯანყების დროს დახმარებას გვპირდებოდნენ.

თავმჯდომარე — რომელ წლებში მიიღეთ ფული უცხოეთის ერთერთი სახელმწიფოს დაზვერვისაგან?

ლორთქიფანიძე — 1935 და 1936 წლებში. უცხოეთის დაზვერვისაგან მიღებული ფული მთლიანად მოვახმარეთ კონტრრევოლუციურ - დივერსიული ორგანიზაციის განმტკიცებას.

თავმჯდომარე — ე. ი. თქვენ ფულზე ჰყიდდით სამშობლოს.

ლორთქიფანიძე — ასე გამოდის.

კაპანაძე — ვისი მითითებით ჩამოყალიბდა ბლოკი?

ლორთქიფანიძე—უცხოეთის ერთერთი სახელმწიფოს დაზვერვისა და კონტრრევოლუციურ - დივერსიული ორგანიზაციის საქართველოს ცენტრის მითითებით.

კაპანაძე — სად მონახეთ ფაშისტების სულისჩამდგმელი გრიგოლ ლაღიძე?

ლორთქიფანიძე — ვიცნობდი მას. ბლოკს გაერთიანებული კრება ჰქონდა ჩემს ბინაზე ორჯერ. კონტრრევოლუციურ - დივერსიული ორგანიზაციის სხდომის ოქმები ხან იწერებოდა, ხან არა. ოქმების ნაწილი ჩემთან ინახებოდა.

კაპანაძე — პეტიციის დაწერის შესახებ რას იტყვით?

ლორთქიფანიძე — საქართველოსა და სსრ კავშირისაგან აჭარის ჩამოშორების შესახებ პეტიციის ტექსტი ქიქავამ შეადგინა, მაგრამ არსად არ გაგვიგზავნია.

კაპანაძე — რას იტყვით დივერსიის შესახებ?

ლორთქიფანიძე — საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ჩვენს მიერ მოწყობილი შეიარაღებული აჯანყების დროს მეამბოხეებს პირველ რიგში ხელთ უნდა ეგდოთ ასაფეთქებელ ნივთიერებათა საწყობები, ფოსტა-ტელეგრაფი და რკინიგზა და შემდეგ გაენადგურებინათ ისინი.

აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოს სპეციალური საკრებულოს 24 სექტემბრის საღამოს სხდომა დამთავრდა ბრალდებულ ლორთქიფანიძის დაკითხვით.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში 26 სექტემბერს

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „სტალინური კონსტიტუცია და მუშათა კლასის დიქტატურის განმტკიცება". კონსულტანტი რუსულ ენაზე — ამხ. მურაჩაშვილი, ქართულ ენაზე — ამხ. დ. თოფურია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ალკკ კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „ვ. ი. ლენინის გენიალური ნაშრომის „სახელმწიფო და რევოლუციის" 20 წლისთავი". კონსულტანტი ქართულ ენაზე — ამხ. სიპრაშვილი, რუსულ ენაზე — ამხ. მამიანი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ე. ბედია

25 სექტემბრის დილის სხდომა

აჭარის ასსრ უზენაეს სასამართლოს 25 სექტემბრის დილის სხდომაზე გაგრძელდა ბრალდებულთა დაკითხვა. სხდომა დაიწყო დილის 10 საათზე. პროცესს დიდძალი ხალხი ესწრება. აქ არიან ხულოს, ქედის, ქობულეთისა და ბათუმის რაიონების მოწინავე სტახანოველები. აჭარის რაიონებიდან სასამართლოს სახელზე მიღებულია დიდძალი დეპეშები, რომლებშიც მშრომელები ერთსულოვნად მოითხოვენ ხალხის უსაზიზღრეს მტერთა დახვრეტას. პროცესი რადიოფიცირებულია და მას აჭარის შორეული სოფლების მცხოვრებლებიც უსმენენ.

დილის სხდომაზე პირველად დაკითხულ იქნა ბრალდებული ჯემალ ჩახმუდის-ძე ქიქავა, რომელიც მუშაობდა „აჭარვაჭრობის" დირექტორად, ამავე დროს კონტრრევოლუციური ჯაშუშურ - საჯანყებო ორგანიზაციის ერთერთი ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე იყო, მავნებლობას ეწეოდა ვაჭრობის დარგში და ამახინჯებდა საბჭოთა სავაჭრო პოლიტიკას. ქიქავამ წაყენებულ ბრალდებაში თავი სავსებით სცნო დამნაშავედ.

შემდეგ დაკითხულ იქნა გიორგი ერასტის-ძე რამიშვილი, დაპატიმრებამდე საქ. მსუბუქი მრეწველობის სახკომი, მავნებლობის ერთერთი ორგანიზატორი მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. იგი ჯაშუშურ კავშირში იყო უცხოეთის ერთერთ დაზვერვასთან და ჰყიდდა სამშობლოს.

შემდეგ დაკითხულ იქნა ბრალდებული ილიას ისმაილის-ძე მეგრელიძე, „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის ყოფილი წევრი, 1922 წელს დაპატიმრებული კონტრრევოლუციური მოქმედებისათვის. მეგრელიძე ჯაშუშური ორგანიზაციის წევრი იყო 1935 წლიდან და სხვა ბრალდებულებთან ერთად იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა და კაპიტალიზმის აღდგენისათვის.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1937/38 წ. სეზონი
1 და 2 ოქტომბერს
წარმოდგენა 1 და 2
სეზონის გახსნა
პრემიერა
უილიამ შექსპირი
ოტელო
ხუთმოქმედებიანი ტრაგედია ცხრა სურათად. ივანე მაჩაბლის თარგმანი ინგლისურიდან.
დადგმა შ. ალსაბაძისა (ხელ. დამს. მოღვ., ორდენოსანი).
დეკორაცია და კოსტუმები მხ. ირ. გამრეკელისა (ხელ. დამს. მოღვ., ორდენოსანი).
მუსიკა ი. ტუსკიასი (ხელ. დამს. მოღვ., ორდენოსანი).
ხელშეკრულებით შეძენილი მუდმივი ადგილების დარიგება დაიწყება 26 სექტემბრიდან თეატრის სალაროში საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე. ბილეთების მისაღებად საჭიროა ცნობები გადასახადის გადახდის შესახებ და მინდობილობის ბარათი.
დასაწყისი 8 საათზე.
50 4—2

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობა
გამოვიდა შემდეგი წიგნები:
ვ. ი. ლენინი—რჩეული ნაწერების ორტომეულის მე-2 ტომი, ფასი ყდით 10 მან. (ურიგდება ხელისმომწერლებს).
მ. ი. კალინინი — დებულება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ და საბჭოების ამოცანები, ფასი 40 კაპ.
დაკვეთა და შეძენა შეიძლება პარტგამომცემლობის მაღაზიებში: თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 41, ა. კ. ფედერაციის მოედანი № 1, ჟორესის ქ. № 22, ქუთაისის, ბათუმის და ჭიათურის მაღაზიებში. 100

საქ. სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს საგუნდო-საანსამბლო გაერთიანება
აცხადებს, რომ სახელმწიფო საბავშვო კაპელაში (მომღერალთა გუნდში) მისაღები გამოცდები იწარმოებს 1, 2 და 3 ოქტომბერს ხალხური შემოქმედების კაბინეტის შენობაში (მახარაძის ქ. № 8). საღამოს 5-დან 7 საათამდე.
განცხადებების მიღება ყოველდღე 10—4 საათ. იმავე მისამართით.
17382 3-1 საგუნდო-საანსამბლო გაერთიანების დირექცია.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი
ბომარშე პრემიერა
ფიგაროს ქორწინება
კომედია 5 მოქმ. თარგმანი ი. გრიშაშვილისა და მარიჯანის.
დადგმა—ვასო ყუშიტაშვილის
მხატვარი: ე. ახვლედიანი (ორდენოსანი)
ნ. ყაზბეგი
დაიწყო მუდმივ ადგილებზე ბილეთების წიგნაკების გაცემა. 1-ლი შესატანი დაფარულ უნდა იქნას 1-ლ ოქტომბრისათვის.
74 დირექცია.

მიიღება ხელისმოწერა
1937 წლის 1-ლი ოქტომბრისათვის და წლის ბოლომდე შემდეგ გაზეთებსა და ჟურნალებზე:
გაზეთები
„კომუნისტი"
1 თვით 2 მ. 50 კ., 3 თვით 7 მ. 50 კაპ.
„ახალგაზრდა კომუნისტი" 1 თვით 2 მან. 50 კ., 3 თვით 7 მ. 50 კ.
„ნორჩი ლენინელი" 1 თვით 25 კაპ., 3 თვით 75 კაპ.
ჟურნალები
„ბოლშევიკი" 1 თვით 50 კაპ., 3 თვით 1 მან. 50 კ.
„ახალგაზრდა ბოლშევიკი" 1 თვით 50 კაპ., 3 თვით 1 მან. 50 კ.
„პიონერი" 1 თვით 50 კ., 3 თვით 1 მ. 50 კ.
„მშრომელი ქალი" 1 თვით 40 კაპ., 3 თვით 1 მან. 20 კაპ.
„ოქტომბრელი" 1 თვით 50 კ., 3 თვით 1 მ. 50 კ.
ხელისმოწერა უნდა ჩაბარდეს:
„სოიუზპეჩატს", ფოსტას, წერილდამტარებლებს, ხელისმოწერის შემკრებთ საწარმოებსა და დაწესებულებებში და პოლიტგანყოფილებათა გამომცემლობებს ტრანსპორტზე. გაზეთებზე ხელისმოწერის უკანასკნელი ვადაა—27 სექტემბერი ჩათვლით.
3—3 საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა „კომუნისტი".

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88. განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61. სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40. მშრომელთა წერილების—3—73—24. პ.-მგ. მორიგის— 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული 8—8343